# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 29 იანვარი, 2009 წელი.

№ 16 (6117)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.



## დოკუმენტურადაა დადასტურებული, რომ აფხაზეთი, როგორც დამოუკიდებელი არაქართული სახელმწიფო, ფაქტობრივად არასოდეს არსებობდა. 5

## შეუგნებელი არაკომპეტენტურობა თუ შეგნებული სიყალბე...



## გველირსება მთაწმინდის პარკი? 11

ბადრის გარდაცვალებიდან დღემდე, მისმა მეუღლემ და ოჯახმა მრავალჯერ სცადეს პარკის დაბრუნება, რაზეც ქალაქის მერმა უგულავამ უარი განაცხადა და დაემუქრა, რომ პარკი მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუბრუნდებოდათ, თუ ბადრის ოჯახი დათანხმდებოდა, ბადრის ქონების საკმაოდ დიდი ნაწილის ჯოზეფ ქეისთვის გადაცემას.





## რა უთხრა დავით ბაქრაძემ ტელეფონით ლალი მოროშკინას? 3

## მითხარი, ვინ გაფინანსებს და



4

## გეტყვი, ვინ ხარ შენ



## 6 ტელევიზიით მიხეილის „ხელოვნება"

## მოსკოვი ვაშინგტონს თამაშის საკუთარ წესებს სთავაზობს 6



## „სადღაც 2 გაჭედილნი..."



ინფორმაცია

## პატრიარქი თავს უკეთ გრძნობს



**საქართველოს** კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ამის შესახებ თოდუას სახელობის კლინიკის ხელმძღვანელმა ფრიდონ თოდუამ განაცხადა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში გადაიყვანეს.

პატრიარქს ვირუსული ინფექციის ფონზე განვითარებული მაღალი სიცხე და ღებინება აღენიშნებოდა. თუმცა, ამ დროისთვის ყველა სიმპტომი მოხსნილია და უწმინდესი თავს კარგად გრძნობს.

## მიტროპოლიტი კირილი — რუსეთის მეთექვსმეტე პატრიარქი

**რუსეთის** მე-16 პატრიარქი მიტროპოლიტი კირილი გახდა.

რუსეთის „პომესტნი სობორმა“ მოსკოვისა და რუსეთის რიგით მე-16 პატრიარქად სმოლენსკისა და კალინინგრადის მიტროპოლიტი კირილი აირჩია.



არჩევნების დროს, რომელიც მოსკოვის მაცხოვრის ტაძარში მიმდინარეობდა, მიტროპოლიტმა კირილმა ხმების 72 პროცენტი — 508 ხმა დააგროვა. სულ არჩევნებში 702 დელეგატი მონაწილეობდა.

მიტროპოლიტ კირილის გარდა, რუსეთის პატრიარქის ტახტზე პრეტენზიას კალუგისა და ბოროვსკის მიტროპოლიტი კლიმენტი აცხადებდა, რომელმაც 169 ხმა მოაგროვა (24 პროცენტი).

მიტროპოლიტმა კირილმა შედეგების გამოცხადების შემდეგ, პატრიარქის შესამოსელი მოირგო. მას მოსკოვის და სრულიად რუსეთის პატრიარქად პირველ თებერვალს აკურთხებენ.

**ინტერპრესნიუსი**

კომენტარი

## ჩვენს ტერიტორიებს იტაცებენ

**რუსეთში ახალი რუკების გამოცემასთან და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ მარიონეტულ რეჟიმებთან ე.წ. საზღვრის დელიმიტაციის პროცესთან დაკავშირებით, საქართველოს საგარეო უწყების პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი კომენტარს ავრცელებს.**

კომენტარის თანახმად, რუსეთს განზრახული აქვს მიიტაცოს საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის შეუთანხმებელი მონაკვეთები.

საქართველოს საგარეო უწყება მიიჩნევს, რომ როგორც არაერთხელ აღნიშნულა, კრემლის პროპაგანდისტული მანქანა დაჟინებით ცდილობს საერთაშორისო საზოგადოებრიობას თავს მოახვიოს მხოლოდ მისთვის ხელსაყრელი ვირტუალური რეალობა, საბოლოოდ კი მოტყუებული რჩება რუსეთის საზოგადოება და თვით კრემლის მმართველები, რომლებიც საკუთარი ილუზიების მძევლები გახდნენ. ამის კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითი ამ ახალი რუკების გამოცემა იქნება.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, რუსეთის მხარეს კითხვაც კი არ უჩნდება იმის თაობაზე, რომ ე.წ. „აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკებში“, შესაძლოა, განსხვავებული მოსაზრება ჰქონდეთ აღნიშნულ საკითხზე.

— თუ გავიხსენებთ, რომ რუსეთი სრულად აკონტროლებს ამ ტერიტორიებზე მის მიერვე შექმნილ მარიონეტულ რეჟიმებს, მარტივად მისახვედრია ამ რეგიონებში დარჩენილი მოსახლეობის აზრის აბსოლუტური იგნორირება. არადა, სწორედ მათი ინტერესების დაცვის საბაბით განახორციელა რუსეთმა სამხედრო აგრესია საქართველოს წინააღმდეგ და მოახდინა ამ ტერიტორიების ოკუპაცია, — აღნიშნულია საგარეო უწყების განცხადებაში.

**ინტერპრესნიუსი**

აურზაური „სალხინეთში“

**ალასანია** თბილისშია, კარგად ნაცნობი „უცნობი“ — ციხეში. თბილისის მერია ყველას გზების მუშებად და კანალიზატორებად ქცევას ლამობს (პრეზიდენტმა გვითხრა ყველა საკანალიზაციო ჭის შეკეთებაზე ტენდერს ტელევიზიით გამოვაცხადებ და ყურადღებითი იყავითო). ბურჯანაძე რეგიონალურ ოფისებს აფუძნებს, დანარჩენმა ოპოზიციამ რა ქნას, ჯერ არ იცის, უბრალოდ ფიქრობს. თბილისში ჩამოსული ირაკლი კი არც პარტიას ქმნის და არც ამბობს, რას აპირებს. ერთი კი თქვა, გუნდი მყავსო და გაუჩინარდა. ამასობაში კი ხალხს შიმშილით სული ძვრება — ბანკებს კრედიტების ამოღება უჭირთ“; ნატო-რუსეთმა ურთიერთობები დაათბეს. მედვედევს კი მიშასთან საუბარი არ უნდა.

## „სადღაც გაჭედილნი...“

„გახსოვთ, ცისანას ჩამოსვლა როგორ უხაროდა მოქკავშირს? ირაკლის ჩამოსვლაც ასე გაუხარდა ოპოზიციის ერთ ნაწილს. მის ორბიტაზე მოხვედრის მსურველთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა უკვე გაბურღა ტვინი — ქუდები მოიხადეთ, ბატონებო, ირაკლი ალასანია მოდისო. მოვიდეს, ვინმემ დაუშალა? ვინც დაუშლის, იმას მიხედოს, თორემ, რაც ჩვენ „ტურფა საბალნაროში“ მიმდგარ-მომდგარები თუ მისულ-მოსულები გვინახავს?...

ციხეში მყოფ „უცნობს“ არც პრეზიდენტი ყავს, მასზე „უდო“ და ამნისტია არ ვრცელდება. თავადაა პატიმარიც, ზედამხედველიც, ციხის უფროსიცა და შეწყალების კომისიის თავმჯდომარეც. შარშან იანვარში კი, როგორც თავად ამბობს, ქვეყანას პრეზიდენტი უკურთხა — სანაცვლოდ კი — „ციხე“! მისი ხელდასხმული ქვეყნის მეთაური ნამდვილად არაა უმადური და „გლდანის ციხეში“ ეპატიჟება, სადაც უფრო მეტი „კომფორტია“.

თუ გიჭირს და ამპარტავანი არ ხარ, საკანალიზაციო ქსელია ქვეყანაში გამოსაცვლელი, „ჩარეცხილებმა გაჭედეს“. გზები? ჰო, დაიკავე „ლაპატკა“, მოიქნიე წერაქვი, შენი დიპლომი და განათლება კიდე...

**„ბრავი ნინო, ბრავი ქალი!“ — ელენე თევდორაძის ეს სიტყვები ჯერ კიდევ არ მისცემია დავიწყებას, მაგრამ თუ ასეთი ტემპებით გააგრძელა ნინომ „ქვათა შეგროვება“, „რეტრო ფრაზა“ მოდაში კვლავ დაბრუნდება.**



ქვეყანაში არსებულ პრობლემებში ყველაზე უფრო სერიოზულად, თუმცა პერსპექტიულად, სამკაციანი პარტიების მომავალი იმზირება. ახლა არ უნდა დაუშვან შეცდომა... ვისთან წავიდნენ, ირაკლისთან თუ ნინოსთან? ყველას გარანტიები სჭირდება. ისეთივე, როგორიც თავის დროზე „მე თვითონს“ ერგო... ხუმრობაა? „ჩვენ თვითონ“ გახდა, ოღონდ რეალურად — და თან ისე, რომ პრეზიდენტიც დაკითხა.

გარანტიების მიცემა კი ჭირს. მაგრამ ოპოზიცია ახლა იმას არ ჭამს, რაც მიშასთან ყოფნისას „ჭამა“. იმთავითვე რომ არაფერი მოითხოვა და მერე პროკურორად სხვა აღმოჩნდა და არა „ის“, თავდაცვაც სხვამ ჩაიბარა და არა „მან“ და ასე შემდეგ.

**ხალხი კრედიტებს ვერ იხდის. ბანკები კი თებერვლიდან კრედიტორთათვის ქონების წართმევის სქემებს ამუშავებენ და „მღებრიშვილის ბიჭებს“ ავარჯიშებენ.**

ნატოს უახლოესი ათი წელიწადი ვერ ვნახავთ. ეს უკრაინასთან მიმართებაში ბზეჟინსკიმ თქვა და „ინტეგრაციის“ კონტექსტში საქართველო არც კი გახსენებია. სიკორსკიმ, რომელიც ჩვენი მეგობრის — ლეხ კაჩინსკის საგარეო საქმეთა მინისტრია, კიდევ ერთხელ „გაგვიიასნა“ ყველაფერი. ძალიან შორს ვართ, ძალიან...

არც ენგურჰესი და არც გეგა უკვე აღარაა მთავარი თემა... უბრალოდ, უბედურება ისაა, რომ გეგა წავა თუ არა, ამით ქვეყანას არაფერი დაუშავდება, ენგურჰესის დაკარგვით კი დღემდე ვერ ვხდებით რას ვკარგავთ...

კუკავა და გუგავა სიზმრებში... ერთი ირაკლი აქ, მეორე — პარიზში... პრეზიდენტი — ავლაბარში და გზებზე... ცხოვრება წინ მიდის... დრო არ ჩერდება, პრობლემა ისაა, რომ ამ ყველაფერში მგონი ქვეყანა გაიჭედა „სადღაც“...

**გოჩა მირცხულავა,**
**XO-ეიჩ-ენი.**

ოპოზიცია

# ქვეყანა – სახელად

**რამდენიმე მილიონი წლის წინათ, რომელიღაც პირველყოფილმა ადამიანმა „მეტად საჭირო ინიციატივა“ გამოიჩინა და ტომის საბჭოს ნანადირევი მამონტის ხორცის განაწილების არსებულ წესში ცვლილებების შეტანის წინადადებით მიმართა.**

**მას შემდეგ, კაცობრიობის ისტორია, ძირითადად, სხვადასხვა „ინიციატივების“ განხორციელება-არგანხორციელების მაგალითებით ივსება.**

„ინიციატივა“ ფრანგული სიტყვაა, და რაიმე საქმის თაოსნობას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, დამოუკიდებლად მოქმედების უნარს ნიშნავს.

„ინიციატივა“ შეიძლება იყოს დიდიც და მცირეც, კარგიც და ცუდიც, ჭკვიანურიც და სულელურიც, დროულიც და დაგვიანებულიც.

ინიციატივის გამოჩენის უფლება ნებისმიერ ადამიანს აქვს, განურჩევლად მისი სქესისა, განათლებისა, კანის ფერისა და სარწმუნოებისა, მაგრამ ყველას არ შეუძლია.

წესით „ინიციატივიანი“ ხალხი ყველგან საჭიროა. ალბათ სწორედ ამის გამოა, რომ თითქმის ყველა დახასიათებაში, ცალკე პუნქტად აღინიშნება პიროვნების „ინიციატივიანობა“.

ინიციატივის გამოჩენა, ნებისმიერ სფეროში შეიძლება, მაგრამ რადგანაც საქართველოში, პოლიტიკის გარდა, თითქმის არც ერთი „წარმოება“ არ მუშაობს, ინიციატივების დიდი ნაწილი, სწორედ ამ მიმართულებით „წამოყენდება“ ხოლმე.

ინიციატივის გამოჩენა, საკმაოდ „მომგებიანი“ რამაა. მომგებიანია, როგორც ხელისუფლებისთვის, ასევე — ოპოზიციისთვის. მომგებიანია, რადგანაც მთავარია თქვა, „წამოაყენო წინადადება“, „ხალხი ჩააყენო საქმის კურსში“. შემდეგ განხორციელდება, თუ არა, უკვე დიდი მნიშვნელობა აღარ აქვს.

სამწუხაროდ ვერ ვიხსენებ ვერც ერთ პრეცედენტს, როდესაც ხელისუფლების მხრიდან წამოსულ ინიციატივას რაიმე შედეგი მოეტანოს (რა მაგის პასუხია და, სახელისუფლებო ინიციატივების მხარდაჭერისთვის იმდენი თანხა და ენერგია იხარჯება, რაც სრულიად საკმარისი იქნებოდა მათს განსახორციელებლადძ.

დადგა 2009 წელი და უამრავი სხვადასხვა სახის ინიციატივა წამოვიდა სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფიდან.

**როგორც წესი, ყველაზე „ხმაურიანი“ მაინც მიხეილ სააკაშვილის ინიციატივა იყო, საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ (რაც მართალია, მართალია, მისი ინიციატივები ყოველთვის ხმაურიანიაძ.**

ამ ინიციატივას, თითქმის ყველა მხრიდან განიხილავენ „ოპოზიციური სპექტრის“ წარმომადგენლები და, რა თქმა უნდა, აკრიტიკებენ. სამწუხაროდ, მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებები მხოლოდ ზოგადი ხასიათისაა და არავითარი კონკრეტული შენიშვნები არ გამოითქმება.

ერთადერთი პოლიტიკოსი, რომელმაც პირველი არხის ეთერიდან ძალიან ნორმალურად აუხსნა საზოგადოებას, პრეზიდენტის ინიციატივის ნამდვილი არსი, პარლამენტის ვიცე-სპიკერი ლევან ვეფხვაძე იყო.

მან ძალიან გასაგებად განმარტა, ამ საკონსტიტუციო ცვლილების ზუსტი დანიშნულება.

**აღმოჩნდა: ეს ცვლილება მიზნად ისახავს პრეზიდენტისთვის იმ „უფლების მინიჭებას“, რომ მან, მისთვის კრიტიკულ მომენტში, სულ ცოტა ერთი წლით გაწელოს რადიკალური ცვლილებების დრო.**

ბატონმა ლევანმა ასევე განმარტა, რომ იმავე მეთოდით „მომავალში ვინმე თავქარიანს“ შესაძლებლობა ექნება, გაიგრძელოს თავისი უფლებამოსილების ვადა (მიუხედავად იმისა, რომ ბატონმა ლევანმა დელიკატურობა გამოიჩინა და აღნიშნა, რომ „თავქარიანი“ შეიძლება იყოს „ვიღაც სხვა“. რატომღაც მგონია, რომ ჩემი არ იყოს, იმ „ვიღაცას“ ძებნით არც სხვები მოიკლავდნენ მაინცადამაინც თავსძ.

**ასე რომ, ამ საკონსტიტუციო ცვლილებების შემდეგ, ხელისუფლების შეცვლის და მასთან ერთად „მაესტროზე“ გასული რეალითი შოუს დამთავრების „ვადები“, ყველაზე კარგ შემთხვევაში, „მაისიდან ნოემბრისკენ გადაიწევს“.**

ხშირ შემთხვევაში ისეც ხდება, რომ ზოგიერთ პოლიტიკოსს, ერთი და იგივე ინიციატივა „მოსდის თავში“.

მაგალითად: გია ცაგარეიშვილმა და ჯონდი ბაღათურიამ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ, ინიციატივა თითქმის ერთდროულად გამოიჩინეს.

მიუხედავად იმისა, რომ ჯონდიმ დაასწრო (მან თავისი ინიციატივის შესახებ, 21 იანვარს ამცნო საზოგადოებასძ, ცაგარეიშვილის ინიციატივას, უფრო „ტავარნი ვიდი“ ჰქონდა.

არადა ის ცვლილებები, რასაც ზემოთ ნახსენები „ინიციატორები“ ითხოვენ, ძალიან აუცილებელი და სასწრაფოა.

სასწრაფოა, რადგანაც სასჯელის შეკრებისა და პირობითი სასჯელის დადგენის პრინციპის გადახედვა, არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხების ლიბერალიზაცია, პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადის და პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების მუხლებში ცვლილებების შეტანა, საჯარიმო სანქციების შემცირება და ნარკოტიკული დანაშაულის მუხლებში ნარკოტიკების დამამზადებლის, რეალიზატორის და მომხმარებლის გამიჯვნა და სასჯელის ლიბერალიზაცია აქამდეც უნდა მომხდარიყო.

როგორც იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარემ მურთაზ ზოდელავამ განაცხადა, ამ ინიციატივებს საგაზაფხულო სესიაზე განიხილავენ და უმრავლესობა მხარსაც დაუჭერს.

ეროვნული უმცირესობა

*ახლახან შექმნილმა „თავისუფალი აზრის სახლმა“ ორიოდე დღის წინათ ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებს უმასპინძლა. დარბაზში სხვადასხვა ეროვნების ადამიანებმა მოიყარეს თავი. ძირითადი თემა იყო ქართულ კინოთეატრებში რუსულად გახმოვანებული კინოფილმების ჩვენების აკრძალვა, თუმცა დისკუსიისას ბევრად მეტი და ძირეული პრობლემა გამოიკვეთა. ყველაზე მეტი პრეტენზია საქართველოს ხელისუფლების მიმართ აზერბაიჯანელებს, რუსებს, ლიტველებს ჰქონდათ.*

# რა უთხრა დავით ბაქრაძემ ტელეფონით ლალი მოროშკინას?

## საარჩევნოდ გამოყენებული „მარიონეტების“ ხმამაღალი პრეტენზიები



„თავისუფალი აზრის სახლის“ ეროვნული უმცირესობის კურატორმა **ლალი მოროშკინამ** ძალიან ბევრი საყვედური გამოთქვა მთავრობის მიმართ, განსაკუთრებით რუსული ენის იგნორირების გამო. მან აღნიშნა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ხშირად შეხვედრიან ერთმანეთს ეროვნული უმცირესობის პრობლემებზე სასაუბროდ და მათ მოსაგვარებლად, თუმცა საქმე შედეგებამდე არასოდეს მისულა. მოროშკინას განცხადებით, ხელისუფლებას სხვა ეროვნების ხალხი მხოლოდ საარჩევნოდ ახსენდება, მილიონამდე ადამიანს იყენებს ხმების მოსაპოვებლად, მაგრამ შემდეგ ავიწყდება.

მოროშკინამ პრეტენზიები გამოთქვა საქართველოს მთავრობაში არსებული ეროვნული უმცირესობის საბჭოს თავმჯდომარის თამარ კინწურაშვილის მიმართ, რომელიც არ ინტერესდება საქართველოში მცხოვრები სხვა ეროვნების ადამიანთა ბედით. მან საკმაოდ საინტერესო დეტალიც გაიხსენა და აღნიშნა, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ გია არსენიშვილმა მას მრჩევლის თანამდებობა შესთავაზა, რაზეც მოროშკინა არ დათანხმდა, თუმცა შემდეგ დავით ბაქრაძე ტელეფონით დაუკავშირდა და უთხრა, არც ვაპირებდით თქვენთვის თანამდებობის მოცემას, რადგან თამარ კინწურაშვილს საჯაროდ დაუპირისპირდით, ის კი ჩვენი გუნდის წევრიაო. მოროშკინას თქმით, უცხოური მხატვრული ფილმები 4-5 ადამიანის ხელშია, რომელიც ითარგმნება ძალიან უხეში ქართულისა და უწმაწური სიტყვების გამოყენებით, რაც ქართველი ახალგაზრდებისთვის არ არის სასიამოვნო მოსასმენი. რუსულად თარგმნილ ფილმებში ეს პრობლემა მოხსნილია, ვინაიდან იქ ასეთ ფილმებს კურირებს რუსეთის კულტურის სამინისტრო. **ჩვენ, ბუნებრივია, არ ვითხოვთ, რომ სულ რუსულად თარგმნილი ფილმები იყოს კინოთეატრებში, მაგრამ დღეში ერთი სეანსი ამისთვის სრულიად საკმარისია. ამბობენ, აბა რა ეგონათ რუსებს, ომი რომ დაგვიწყეს, ახლა რუსული ფილმები არ გვინდაო, თუმცა რატომღაც ავიწყდებათ, რომ ჩვენ ვცხოვრობთ იმ ქვეყანაში, სადაც პრაქტიკულად ყველა ენერგომატარებელი რუსების ხელშია. ამიტომ იმით სპეკულირება, გავუშვებთ თუ არა რუსულად თარგმნილ ფილმებს კინოთეატრებში, ნამდვილად სასაცილოა,** — დასძინა მან.

დარბაზში განსაკუთრებით ბევრი აზერბაიჯანული დიასპორის წარმომადგენელი იყო. ალი ბაბაევმა თქვა, ჩვენს ხელისუფლებას ევროპაში უნდა ინტეგრაცია, როცა ჯერ საქართველოში არ არის ინტეგრირებული საზოგადოებაო, აქ მცხოვრებ აზერბაიჯანელებს მართლაც გვიყვარს საქართველო, მაგრამ პრობლემები ჩვენცა გვაქვს და ყურადღება გვჭირდებაო.



განსაკუთრებით საინტერესო იყო ლიტველი პროფესორის, რეგინა იაკობიძის გამოსვლა. მან რატომღაც საქართველოში სომხების პრივილეგირებულ მდგომარეობაზე გაამახვილა ყურადღება. ამის გამოხატულებად შეიძლება ისიც მივიჩნიოთ, რომ არც ერთ სომეხს არ მიუღია დისკუსიაში მონაწილეობა (შეიძლება დარბაზში არც იყვნენძ. ქალბატონი რეგინა ეკონომიკის მინისტრის ლაშა ჟვანიას ლექტორი ყოფილა, რაზეც მან თქვა, რომ მართალია, მინისტრს სამი სემესტრი ვასწავლიდი ეკონომიკას, მაგრამ ამ თანამდებობას მთელი ცხოვრება სწავლა სჭირდებაო.

ბევრ სხვა პრობლემასთან ერთად, სხვადასხვა ეროვნების მოქალაქეები განსაკუთრებული სიმწვავით მაინც რუსული ენისადმი უარყოფით დამოკიდებულებას აღიქვამენ. ხელისუფლება, აგვისტოს ომის გამო, რუსეთს სამაგიეროს უხდის იმით, რომ რუსული არხების ჩვენება აკრძალა, რუსულ ენას იგნორირებას უკეთებს, თუმცა არ ითვალისწინებს იმას, რომ საქართველოში მცხოვრები 100-მდე სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს ამის გამო დისკომფორტი ექმნებათო, — აღნიშნეს შეხვედრაზე და აქვე დასძინეს, რომ ეთნიკურ დიასპორებთან ხშირ-ხშირი შეხვედრებით ხელისუფლება თავს იწონებს, ეს მოდურიც კი გახდა, თუმცა მხოლოდ პიარად იყენებს, რადგან რეალურად არც ერთი პრობლემა არ გვარდება, შედეგი არასოდეს არ არის.

**დისკუსიის შემდეგ მიიღეს ტექსტი, რომელსაც ლობირებას უკვე „თავისუფალი აზრის სახლი“, კონკრეტულად კი, პოლიტოლოგი მამუკა არეშიძე გაუწევს. მან აღნიშნა: ყველა საშუალებას გამოვიყენებ ეროვნული უმცირესობის პრეტენზიებისა და საყვედურების გამოსასწორებლად და მოსაგვარებლადო.**

თეა მოსია

ოპოზიცია

# „ინიციატივა“

დიდი „ამბებია“ მოსალოდნელი ეკონომიკაშიც.

ის, რომ ქართველი ბიზნესმენები არასდროს გამოირჩეოდნენ დიდი „ინიციატივიანობით“, ყველასთვის ცნობილია. სწორედ ამიტომ, ქართული ეკონომიკის „ალმავლობის“ დასაჩქარებლად, სააკაშვილის მხრიდან უამრავი „ინიციატივა“ წამოვიდა.

მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე „ოპტიმისტური“ სამთავრობო პროგნოზით, 2009 წელს, საქართველოში კერძო ინვესტიციების სახით, დაახლოებით 800 მლნ აშშ დოლარი შემოვა, სააკაშვილის „ინიციატივით“ 60000-მდე სამუშაო ადგილი შეიქმნება.

**ამ „ძვრების“ განხორციელებაში, ეკონომიკის სამინისტროს ალბათ ან ზურაბ ვადაჭკორია ეხმარება, ან გია ფარადაშვილი (დევიდ კოპერფილდის ჩამოყვანა ძვირი იქნება).**

ლენინის თქმისა არ იყოს, საქართველოში რომ „უცხოელი ინვესტორი“, „როგორც „კლასი“, მოისპო“, ახალი ამბავი არ არის.

„საქართველოს ბანკის“ პროცენტი და „სახალხო ბანკის“ 65 პროცენტი რომ გაიყიდა, მიწის ფასი, რომ დაეცა, დაზღვევის თანხა, რომ გაიზარდა და მოკლედ რომ ვთქვა, მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობა რომ კატასტროფის ზღვარზე მივიდა, არც ეს არის „დიდი კომერციული საიდუმლოება“.

ამ ფონზე ძალიან საინტერესოა საქართველოში არსებული ზოგიერთი უცხოური ბანკის ფილიალის „სტაბილური ფუნქციონირება“.

როგორც ცნობილია, არასტაბილური პოლიტიკური ვითარებისა და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის ქვეყნებში, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ძირითადად საეჭვო რეპუტაციის მქონე უცხოური „ფირმები“ ფუნქციონირებენ.

ვერაფერს ვიტყვი იმ ორგანიზაციის შესახებ, რომელმაც „სახალხო ბანკის“ აქციების საკმაოდ დიდი ნაწილი შეიძინა, რადგანაც, როგორც აღმოჩნდა, მის მიერ მითითებულ სათაო ოფისის ლონდონურ მისამართზე, სუპერმარკეტი მდებარეობს. სამაგიეროდ დიდი ჩხრეკა-ძიება არ არის საჭირო იმის დასადგენად, თუ რა უნდათ საქართველოში ზემოთ ნახსენებ სხვა უცხოური (ძირითადად ყაზახური და თურქული) ბანკების ფილიალებს.

**არ გადაგტვირთავთ ვარიანტების განხილვით და მარტივად ვიტყვი, რომ ისინი ქართულ ბანკებს „ლუკმასართმევენ“.**

მაგალითად: ნებისმიერი ყაზახი ბიზნესმენი თავისი თანხების მოძრაობას „ხალიკ ბანკის“ საშუალებით განახორციელებს და გარკვეულ ფინანსურ ოპერაციებს ისე ჩაატარებს, რომ ქართული საგადასახადო სამსახურები საერთოდ ვერაფერს ვერ გაიგებენ.

ეს საკითხი ძალიან საინტერესოა და საკმაოდ სერიოზული შესწავლის საგანს წარმოადგენს, მაგრამ ამჯერად სულ სხვა საკითხზე მინდა გავამახვილო მკითხველის ყურადღება.

დღევანდელი გლობალური ფინანსური კრიზისის ფონზე ზემოთ ნახსენებმა „ხალიკ ბანკმა“ „მოახერხა“ და 300 ლარით შეამცირა „გასავალი“.

არა, ძვირფასო მკითხველო, არ იფიქრო, რომ ამ ბანკმა რაიმე „გრანდიოზული“ ეკონომიკური ინიციატივა განახორციელა.

არაფერი მსგავსი.

„ხალიკ ბანკმა“ უბრალოდ „გადააგდო“ თავისი თანამშრომლისთვის დაქირავებული ბინის მფლობელი და არ გადაიხადა დაახლოებით 300 ლარი.

**ეს საკითხი ალბათ სასამართლოში გაირკვევა, მაგრამ საინტერესოა, როდემდე უნდა „ჯეჯილობდნენ“ ჩვენს ქვეყანაში გაურკვეველი წარმოშობის ორგანიზაციები?**

როდემდე უნდა ხდებოდეს საქართველოს მოქალაქე ხელისუფლების მიერ „განხორციელებული“ სხვადასხვა „ეკონომიკური, თუ პოლიტიკური ინიციატივის“ მსხვერპლი?

**როდემდე უნდა იყოს საქართველო განუხორციელებელი კარგი ინიციატივებისა და განხორციელებული ცუდი ექსპერიმენტების ქვეყანა?**

არადა ამ საკითხის გადაჭრა ძალიან მარტივად შეიძლება.

უბრალოდ, საქართველოს მოსახლეობამ უნდა გამოიჩინოს ინიციატივა და ერთხელ და სამუდამოდ შეცვალოს არსებული ხელისუფლება.

გია გაბრიჭიძე

ინფორმაცია

### რუსეთის კომენტარები დემაგოგიურია

**საერთაშორისო** არასამთავრობო ორგანიზაცია Human Rights Watch -ის მიერ გამოქვეყნებულ მოხსენებასთან დაკავშირებით, რუსეთის საგარეო უწყების კომენტარში იმის მტკიცება, თითქოს „მოხსენების ავტორებმა ვერ გაბედეს განეცხადებინათ საქართველოს პასუხისმგებლობის შესახებ“ ტრადიციულად დემაგოგიურია. მსგავს შეფასებას აკეთებს საქართველოს საგარეო უწყების პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი.

დეპარტამენტის კომენტარის თანახმად, საერთაშორისო თანამეგობრობას ისედაც არ ეპარება ეჭვი, რომ 2008 წლის აგვისტოში რუსეთმა განახორციელა სამხედრო აგრესია სუვერენული სახელმწიფოს მიმართ, საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია მოახდინა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე ეთნიკური წმენდა ჩაატარა.

საქართველოს საგარეო უწყება მიიჩნევს, რომ ასევე უსაფუძვლოა რუსეთის საგარეო უწყების კომენტარში გამოთქმული მოსაზრება, რომ დოკუმენტი ეყრდნობა „გაცვეთილ“ და „უსაფუძვლო თეზისებს“. ის ფაქტი, რომ რუსეთის მიერ და მისი ხელშეწყობით ოკუპირებულ ტერიტორიებზე მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი იქნა მასობრივი დანაშაულები — მკვლელობები, ყაჩაღობა, ძარცვა, მოროდიორობა, გაუპატიურებები - არა მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციების, არამედ თვით რუსეთში ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერაა დადასტურებული.

### ევროდამკვირვებლებს ცეცხლი გაუხსნეს

**საქართველოში** ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია შეშფოთებას გამოთქვამს მისი ერთ-ერთი საპატრულო ჯგუფის მახლობლად გახსნილი ცეცხლის გამო. ევროდამკვირვებლების ჯგუფი ოძისში, ქართული საგუშაგოს მახლობლად, პატრულირებას ახორციელებდა. როგორც მისიის ხელმძღვანელმა, ჰანსიოგ ჰაბერმა განაცხადა, ეს ინციდენტი აბსოლუტურად დაუშვებელია.

ჩვენი დამკვირვებლები არ არიან შეიარაღებულნი და უფლება აქვთ შეუფერხებლად განახორციელონ პატრულირება. ეს სარკოზი-მედვედევის შეთანხმების დარღვევაა. შეთანხმება ყველა მხარის მიერ ძალის გამოყენებას კრძალავს, — განაცხადა ჰაბერმა. მისიის ხელმძღვანელი ყველა მხარეს მოუწოდებს, შემდგომი პროვოკაციებისაგან თავი შეიკავონ.

### რუს ჯარისკაცს რუსეთს არ გადასცემენ

**ქართული** მხარე არ აპირებს, რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს რუსი ჯარისკაცი ალექსანდრე გლუხოვი გადასცეს, რომელმაც ახალგორის სამხედრო ნაწილი 26 იანვარს მიატოვა.

ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

ჩვენ დავიცავთ მის უფლებებს და რუსეთისთვის გადაცემას არ ვაპირებთ. კარგად ვიცით, რაც ემუქრება მას რუსეთისთვის გადაცემის შემთხვევაში, — განაცხადა ვაშაძემ.

მისი თქმით, ქართულმა მხარემ მიიწვია შვეიცარიის ელჩი, რომელიც საქართველოში რუსეთის ინტერესებს წარმოადგენს, რათა თავად დარწმუნდეს, რა პირობებში იმყოფება გლუხოვი საქართველოში და არის თუ არა მისი უფლებები დაცული.

ჩვენ დავუკავშირდით მის მშობლებსაც და შვილის სანახავად თბილისში მოვიწვიეთ, — განაცხადა გრიგოლ ვაშაძემ.

რუსული რეგულარული არმიის უმცროსმა ლეიტენანტმა ალექსანდრე გლუხოვმა ახალგორში დისლოცირებული სამხედრო ნაწილი გაუსაძლისი პირობების გამო მიატოვა და დახმარებისთვის ქართულ პოლიციას მიმართა. რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ ქართული სპეცსამსახურები გლუხოვის გატაცებაში დაადანაშაულა და მისი დაუყოვნებლივი დაბრუნება მოითხოვა.

ინტერპრესნიუსი

განსჯა

# მითხარი, ვინ გაფინანსებს და გეტყვი, ვინ ხარ შენ



**ხალხი დაბნეულია — ისინი, ვინც საინფორმაციო ჭურში ჩასვეს სამივე „რუსთავის“ მეშვეობით, და ისინიც, ვინც ოპოზიციურ პრესაში სტატიას არ ტოვებდა წაუკითხავს. დაბნეულ-გაბნეულია ოპოზიციაც — ხან ხელისუფლება აცურებდა მას და ხანაც — ხელისუფლების მიერ მათ რიგებში შეცურებული „ოპოზიციონერები“.**

გაუბედურებულ ქართველ ხალხს მართლა თავის სამტვრევად შეექნა საქმე, იგი არაა დარწმუნებული, თუ რა სჯობს, რა მოიმოქმედოს — **„შეჩვეული ჭირისკენ“, ჩრდილოეთისკენ** გაიხედოს, საიდანაც შევარდნაძეს ამოჰყავდა მზე თავის დროზე, თუ ახლა **„დასავლეთის მზისკენ“** მაცქერლებს ენდოს (ისე, ამერიკისკენაც მე შევატრიალეთო, ამას წინათ განაცხადა ბატონმა ედუარდმა, მაგრამ ის კი აღარ დააყოლა, რომელი მზეა გამათბობელი და რომელი — მწველიძ, **ნატოსკენ** ისწრაფვოს თუ **ნეიტრალიტეტისკენ,** მომდევნო, შესაძლო კარგი პრეზიდენტის იმედად იყოს თუ საპარლამენტო წყობაზე, ან სულაც, საკონსტიტუციო მონარქიაზე იფიქროს.

ჩვენი ხელისუფლება რომ მწარედ შეცდა ცხინვალთან მიმართებაში, ცხადია, მაგრამ ერთმორწმუნე სახელმწიფო თუ ასე გადაგვივლიდა (ერთი კაცის „ერთი ადგილით“ დაკიდების სანაცვლოდძ 21-ე საუკუნეში და ევროპა-ამერიკაც ასე „ქვეშიდან გამოვიდოდა“ (ევროპა ხომ პირდაპირ წაუწვა რუსეთსძ, ამას ცოტა ვინმე თუ მოელოდა.

დასავლეთი, მეტადრე ამერიკა, ისეთი ცხელ-ცხელი და თან დამაჯერებელი დაპირებებით გვკვებავს ბოლო ხუთი წელია, რომ ბევრს, პოლიტოლოგ-ექსპერტებიანად, ჩრდილოელი დათვის ხახაში თავის შეყოფა, საკუთრივ ჩვენი ხელისუფლების ინიციატივა ჰგონია. ასე რომ ყოფილიყო, განა ერთსულოვნად გამოგვიყოფდნენ მილიარდებს ამ მსოფლიო კრიზისის პირობებში? ასეთ და ამხელა კრედიტებს დავალების დროულად და ფრიადზე შესრულებისთვის იძლევიან, და არა — „საშემოდგომოდ“ გამოყოლილი დავალიანებისთვის! ისე, კაცმა რომ თქვას, პირადი ინიციატივის გამოჩენისთვისაც გვეხმარებიან, თუ იგი ქართული (ზოგადად, ეროვნულიძ სულის წაწყმედას უწყობს ხელს. ამგვარი ინიციატივების მარტო ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანს, ამიტომ მხოლოდ ორს, უმნიშვნელოვანესს ვახსენებ — ხუთი წლის წინანდელს და — სულ ახალს. **ესაა უცხოეთიდან დაფინანსებული სხვადასხვა რელიგიური სექტების (იეღოველთა წინამძღოლობით) ნებადართული პარპაში და მათ მიერ ჩვენი გაჭირვებული მოსახლეობის გადაბირება-მოქცევა სატანისტურ ყაიდაზე;** და **მეორე,** ეგებ კიდევ უფრო ნიშანდობლივი — **ქართველი კაცის ხელით ნალოლიავები, „შვილივით ნაზარდი“ ვაზის აჩეხვის, ამ გაუგონარი, ვანდალური პროცესის ფულადი კომპენსაციებით წახალისება საქართველოს ხელისუფლების მხრიდან!** ვერავინ დამარწმუნებს, რომ ასეთმა მკრეხელურმა ინიციატივამ სამშობლოზე შეყვარებული ქართველი კაცის თავში, ერთხელაც კი, აზრადაც გაიელვოს!

რაც არ უნდა კარგი იყოს ნატო და მასში გაწევრებას არც არავითარი მინუსები არ მოსდევდეს თან, ერთი რამ ცხადზე უცხადესია — საქართველოს არც აგვისტომდე მიიღებდნენ ნატოში და არც მომავალში მიიღებენ, რაგინდარა ინდგეგმები არ მოგვცენ საშინაო დავალებად. არათუ საქართველოს, არამედ არავის, ვინც თავის საზღვრებს ვერ აკონტროლებს და თან საომარ მოქმედებებში გადაზრდილი კონფლიქტები აქვს ქვეყნის შიგნით, ნატოში გაწევრება, ნატოსვე წესდებიდან გამომდინარე, არც კი, ბოდიში და, „ეჭყანება“, მიუხედავად იმისა, რომ ეს პირობა ყველასათვის ცნობილია, და ამ პირობის დარღვევის პრეცედენტი არ არსებობს. ერთობ გაუგებარია ის ფუჭი მოლოდინი, რომელშიც ხალხს, ხალხის „რჩეულებთან“ ერთად, ზოგიერთი ექსპერტ-პოლიტოლოგიც ამყოფებს.

ნატოში გაწევრება მხოლოდ ორ შემთხვევაშია შესაძლებელი: თუ აფხაზეთ-სამაჩაბლოს დავაბრუნებთ ჩვენს იურისდიქციაში დე ფაქტო (და, მაშასადამე, რუსეთის ბაზებსაც გავაუქმებთძ, ანდა, თუ საბოლოოდ უარს ვიტყვით წართმეულ მიწებზე. პირველი ვარიანტი შესანიშნავია (ნატოში გაწევრების მიზანშეწონილობა ცალკე მსჯელობის საგანიაძ, მაგრამ ზღაპარს უფრო ჰგავს, ვიდრე რეალურად შესაძლებელ ვარიანტს, ახლო მომავალში მაინც. **ვშიშობ, ნატოზე უსაზღვროდ შეყვარებულმა ხელისუფლებამ მეორე ვარიანტი არ აირჩიოს და რუსეთის საფრთხობელათი დაშინებულ-დამუშავებულ ხალხს თავზე არ მოგვახვიოს.** სხვა პერსპექტივა, რომ დღევანდელი მდგომარეობითაც მივვილებენ და უკვე მერე დაგვეხმარებიან (ზოგიერთის ჭკუით, სამხედრო ძალითაც კი!ძ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში, უბრალოდ, სიბრიყვეა, ეს არ მოხდება არასოდეს და თუ ჩვენი გულისთვის ასეთი სისულელე მაინც ჩაიდინა ამერიკამ, მაშინ იგი დამღუპველი ისევ საქართველოსთვის იქნება პირველ რიგში, რადგანაც ამგვარი დაპირისპირება ჩვენს ტერიტორიაზე მესამე (და უკანასკნელძ მსოფლიო ომს თუ არ გააჩაღებს, მიწასთან ნამდვილად გაგვასწორებს.

რაც შეეხება ნეიტრალიტეტს. იგი ძალზე სასიამოვნოდ ჟღერს და თითქოს ყველაფერზე უკეთესიცაა, მაგრამ რამდენადაა ეს შესაძლებელი ჩვენს გეოგრაფიულ გარემოცვაში სათანადო გარანტიების გარეშე, ეს კიდევ საკითხავია. სავარაუდო გარანტებს — რუსეთს და ამერიკას ხელს აძლევთ კი ჩვენი ნეიტრალიტეტი? ერთსაც და მეორესაც ისეთი მისწრაფებები აქვს, რომ ვეჭვობ რომელიმემ თავი დაგვანებოს და ჩვენთვის, ჩვენს ჭკუაზე „ნეიტრალურად“ გვამყოფოს.

პრეზიდენტის ინსტიტუტზე, საპარლამენტო წყობაზე და კონსტიტუციურ მონარქიაზე არ შევჩერდები, რადგანაც **თუ პრეზიდენტი ან მეფე არ გივარგა, თუ დეპუტატების აბსოლუტურ უმრავლესობას ორ ბატს ვერ მიაბარებ, რა აზრი აქვს, რა ტიპის მმართველობა გვექნება?** ამას იმასაც თუ დავუმატებთ, რომ ძალიან ბევრი მათგანი უცხო ქვეყნის (თუ ქვეყნების, ერთდროულადძ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობს, და მათი გამოსამჟღავნებელი ღონისძიებების განხორციელებას, ანუ ლუსტრაციის კანონის მიღებას, ბუნებრივია, არც არავინ აპირებს, კიდევ უფრო ნათელი გახდება სახელმწიფოს მმართველობის ფორმის შეცვლის არააქტუალობა მოცემულ ეტაპზე.

**აქტუალური და გადამწყვეტი, გნებავთ სასიცოცხლო, საქართველოსთვის დღეს არის 3 მილიონიდან 150 ღირსეული ადამიანის შერჩევა! მაგრამ როგორ?**

დავუშვათ, მივაღწიეთ საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლას, მივაღწიეთ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს და მის გაუყალბებლად ჩატარების გზებსაც! ავშენებულვართ და ეგ არის, მეტი რა გვინდაო, იტყვის კაცი, მაგრამ ეს მხოლოდ ნახევარი საქმეა, თანაც არა გადამწყვეტი. მთავარი ხომ სწორი სელექციაა, როგორ გავერკვეთ ამდენი ნაირ-ნაირი (სახელებით კი, მსგავსიძ პარტიის და მათ კანდიდატთა კომპეტენტურობაში, ჭეშმარიტ ორიენტაციასა თუ კეთილსინდისიერებაში? განა ვიცით ვინ ვინ არის, შინაური იქნება ის თუ გარეული?

მათ შესახებ ინფორმაციას ხომ, ძირითადად, არათავისუფალი ჟურნალისტების მეშვეობით ვიღებთ (არადა, ასეთია ჟურნალისტების აბსოლუტური უმრავლესობა ტელევიზიაში, ნაკლებად — პრესაშიძ, და მათი ძალისხმევით ხდება პიროვნების წარმოჩინება ან დაკნინება, ხალხისთვის „ვარდისფერი“ სათვალის გაკეთება ან ზოგჯერ რაღაცრაღაცებზე თვალის ახელა. ყველაფერი ხომ ჟურნალისტების დამქირავებლებზე, ანუ მასმედიის მფლობელების ინტერესებზეა დამოკიდებული.

მედიის მნიშვნელობაზე საუბარს არ ვაპირებ, ეს 200 წლის წინათაც კარგად იყო ცნობილი, როცა გაზეთის და ინფორმაციის უდიდეს მნიშვნელობაზე ხატოვნად მიუთითებდნენ ნაპოლეონი და ძმები როტშილდები. **მაშინ თუ ერთი გაზეთის ზეგავლენას მთელი ჯარის ძალას ადარებდა ნაპოლეონი, დღეს უკვე ჯარიც აღარ ხდება საჭირო — მხოლოდ მედიასაშუალებებით ხერხდება ნებისმიერი ხელისუფლების დისკრედიტაცია და ჩამოგდებაც კი.**

სწორედ ამგვარი საშიშროების თავიდან ასაცილებლად და ხალხზე ზეგავლენის მოსაპოვებლად, პრესა-ტელევიზიის ხელში ჩასაგდებად ყველანაირ კრიმინალზე მიდის ხალხზე „მოფიქრალი“ ყოველი (არა მარტო ჩვენიძ ავტორიტარული რეჟიმი.

არჩევანში ადვილად შევცდებით, თუ არ გვეცოდინება ვის რა „სკოლა“ აქვს გავლილი (ადგილზე და უცხოეთშიძ, ვინ რითი ჭამს პურს, ანუ ვინ აფინანსებს მათ და, მაშასადამე, ვისი შეკვეთით წერენ და ლაპარაკობენ ეს ჟურნალისტები, პოლიტოლოგ-ექსპერტები, ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების სახეები და დეპუტატობის კანდიდატები. სანამ ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ გახდება ამომრჩევლისთვის, მანამდე სწორ არჩევანს ცოტა ვინმე თუ გააკეთებს. წესიერად ჩატარებული არჩევნებიც მხოლოდ ფარსი და თვალების ახვევა იქნება, რადგანაც საინფორმაციო საშუალებებით მიზანმიმართულად ტვინგამორეცხილ ამომრჩეველს ისე ტექნიკურად მოახვევენ თავს სასურველ კანდიდატს, როგორც დაგიბარებიათ. ხალხი, როგორც ადრე, ამჯერადაც პირში ჩალაგამოვლებული დარჩება.

**ასე რომ, ჯერ მითხარი, ვინ გაფინანსებს, და მერე გეტყვი — სანდო, ასარჩევი ხარ, თუ — არა.**

კი ბატონო, „თავისუფლების ინსტიტუტი“, „კმარა“ და კიდევ რამდენიმე ფონდი, ცენტრი და ა.შ. ვიცით სოროსის დაფინანსებული რომაა, მაგრამ განა ეს საკმარისია? აუცილებელია სრული ინფორმაცია მათზეც და ყველა იმ ორგანიზაციაზე, რომლებიც უცხოური „გრანტებით“ არსებობენ, მათი შექმნის მიზანი, დაფინანსების ოდენობა და დამფინანსებლის ვინაობა. უნდა ვიცოდეთ, თუ რა საქმიანობისთვის იღებენ ისინი კოლოსალურ, პრეზიდენტ-მინისტრებზე უფრო მაღალ ხელფასს, და ეს პრეზიდენტ-მინისტრები კიდევ, თავის მხრივ, რატომ იღებდნენ მნიშვნელოვან დანამატს ისედაც მაღალ ხელფასზე, უცხო ქვეყნის კერძო პირისგან. მხოლოდ ლამაზი თვალებისთვის, უანგაროდ?

**თუ ეს გრანტები მხოლოდ დახმარებისთვისაა, მაშინ რატომ მართლა შავ დღეში მყოფ ინტელიგენციას, ასჯერ(!) ნაკლები პენსიის მქონე პროფესორ-მასწავლებლებს არ უწვდიან დახმარების ხელს?** მაგრამ ეს არც არასოდეს მოხდება, ისინი ლამის გახსნილად გვეუბნებიან, რომ მათი მოვალეობა მხოლოდ ხელისუფლებაზე და ხელისუფლებისთვის „სათანადოდ“ აღსაზრდელ კადრებზე ზრუნვაა, მათი დაფინანსება-მოძრთამვა. გაწეული დანახარჯის ეფექტიანობის შემოწმება ორივე(!ძ ბანაკის ლიდერების ამერიკაში ჩატარებული მრავალჯერადი გასაუბრება-ტესტირების გზით ხდება.

ზოგი, ალბათ, შემომედავება — ამერიკა-ევროპის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილ ასეულობით მილიონს ვერ ხედავო? როგორ არ ვხედავ, მაგრამ იმასაც ვხედავ, რომ ყოველ წელს მეტი და მეტი დახმარება გვჭირდება, ე.ი. ფეხზე კი არ ვდგებით, უკან-უკან მივდივართ, ვხედავ იმასაც, რომ კოლოსალურმა დახმარებამ ნაყოფი არ გამოიღო — არც ცხოვრება გაუმჯობესდა და არც უმუშევრობა შემცირდა, არც საქართველოდან გამქცევთა რაოდენობამ იკლო და არც დაბრუნებულთა რიცხვმა იმატა, არც სამართალმა ჭამა პური და უსამართლოდ გასამართლებულთა (პატიმართაძ საერთო რაოდენობამ ხომ ყველა დროის რეკორდი მოხსნა! სამაგიეროდ, საქართველოს ვალმა 3 მილიარდ დოლარს მიაღწია. ამ „უანგარო“ დახმარებებით თავი ისეთ ყულფში გვაქვს გაყოფილი, რომელიც სულ უფრო და უფრო გვიჭერს — ვალი ყოველ წელს მატულობს, და, რაც მთავარია, ამ ყულფიდან თავის დაძვრენის არანაირი შანსი არ გაგვაჩნია — პროცენტების გადახდას ვერ ავუდივართ, არათუ ვალის გასტუმრებას.

**იაკობ ლეჟავა.**

(დასასრული იქნება)

ინფორმაცია

## ესტონელები გორელებს დაეხმარებიან

**ესტონეთის მთავრობა გორში სოციალური პროექტების განხორციელების ინიციატივით გამოვიდა. ამ მიზნით გორის მუნიციპალიტეტს ესტონეთის დელეგაცია ეწვია.**

**ვიზიტის ფარგლებში დელეგაცია გორის მუნიციპალიტეტის არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებსა და სოციალური სამსახურის ხელმძღვანელებს შეხვდა.**

**მრგვალი მაგიდის ირგვლივ საუბარი რეგიონში სოციალურ მდგომარეობას შეეხებოდა.**

**შეხვედრაზე ესტონეთის დელეგაცია გორში ახალი სოციალური პროექტების განხორციელების ინიციატივით გამოვიდა.**

**საერთაშორისო ორგანიზაციები რეგიონში განსახორციელებენ პროექტებთან დაკავშირებით საგრანტო პროგრამებს ამუშავებენ.**

## ახალი გზა და ოთხი ახალი ხიდი შიდა ქართლში

**შიდა ქართლის რეგიონში მიმდინარე წელს 50 კმ საავტომობილო გზის და სამი ხიდის რეაბილიტაციაა დაგეგმილი, რაზეც 204 მლნ 506 ათასი ლარი დაიხარჯება.**

**როგორც გზების დეპარტამენტიდან იტყობინებიან, გზების მშენებლობაზე 182 მლნ 481 ათასი ლარია გათვალისწინებული, რეაბილიტაცია-პერიოდული შეკეთებისა და სტიქია-პრევენციის სამუშაოებზე 5 მლნ 80 ათასი ლარი, შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების რეაბილიტაციაზე 15 მლნ 300 ათასი ლარი.**

**გარდა ამისა, რეგიონში 25 კმ ახალი საავტომობილო გზა და 4 ახალი ხიდი აშენდება.**

ინტერპრესნიუსი და ჯი-ეიჩ-ენი

პასუხად რუსტემ ვახიტოვს

# შეუგნებელი არაკომპეტენტურობა თუ შეგნებული სიყალბე...

ბ-ნ რ.ვახიტოვის ბრალდებასთან დაკავშირებით, რომ „ქართველი ნაციონალისტები“ აფხაზებს „აფსაელებს“ უწოდებენ და ამტკიცებენ, რომ ეს მოსული ხალხია“, უნდა აღვნიშნოთ, რომ „აფსუა“ (და არა „აფსაელები“) მათი თვითსახელწოდებაა, ისინი თვითონ უწოდებენ თავიანთ თავს „აფსუას“, თავიანთ ენას – „აფსუას“ ენას, თავიანთ სახელმწიფოს კი „აფსნის“. I ს-ის რომაელი ისტორიკოსის პლინიუსის ცნობით, „აბზოეს“ – ე.ი. „აფსუას“ განსახლების ადგილი ჩრდ.კავკასიაშია, იმავე ადგილზე იტალიელი ჯაკოპო გასტალდის 1561 წ. რუკაზე დატანილია **Absvas regi**, ანუ „აფსუათა ქვეყანა“ და მათი ციხე-სიმაგრე **Akva**. 1738 წელს შედგენილ დასავლეთ საქართველოს რუკაზე ძველქართულ ქალაქ ცხუმის (სოხუმის) ადგილზე უკვე მითითებულია პუნქტი „აყვა“, ძველი ქართული ქალაქის ცხუმის აფხაზური (აფსუური) სახელწოდება, იქვეა „ცხუმის ციხე“. რუკის დედანი დაცულია მოსკოვში (ЦГВИА, ВУА) ასლი – თბილისში, ხელნაწერია ეროვნულ ცენტრში (RT IV, №1).

აფხაზთა (აფსუათა) ჩრდ.კავკასიიდან, აფხაზეთში გადმოსახლებაზე მოგვითხრობს მათი თქმულებაც (შ.ინალიფა, აფხაზები, სოხუმი, 1965, გვ.37.).

მათი ხალხური თქმულებები (დამწერლობა არ ჰქონდათ) მოგვითხრობენ, თუ როგორ ესხმიან ისინი თავს ზღვისპირა რეგიონებს, ძარცვავენ, მიჰყავთ ტყვეები, რომლებსაც ტყვეთა ბაზრებზე ჰყიდიან, ხოლო შემდეგ თანდათანობით დაბლობ რეგიონებში სახლდებიან. ჯერ კიდევ XIV საუკუნეში აფხაზები (აფსუები) არ ცხოვრობდნენ ცხუმში. კათოლიკე ეპისკოპოსის პიეტრო გერალდის ცნობით, 1330 წელს ცხუმში ცხოვრობდნენ ქართველები, მუსლიმები და ებრაელები. ცხუმში იმ დროს შეიძლება სახლობდნენ აფხაზები, მაგრამ გერალდისთვის ისინი ქართველები არიან, XVII საუკუნეში კი ეს უკვე მათი ქალაქია. თანდათანობით, ჩრდ.კავკასიიდან საქართველოში სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლებმა დაიწყეს შემოსვლა. კახეთში ჩასახლდნენ სხვადასხვა დაღესტნური ეთნოსის ჯგუფები, რომლებსაც, ყველას ერთად, ჩვენი წინაპრები ლეკებს ეძახდნენ. სავარაუდოდ ისინი (ლეკები) ამ ეთნოჯგუფებში უმრავლესობას წარმოადგენდნენ. საქართველოს ცენტრალურ ნაწილში – ალანები (ოსები – ოვსები), ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში კერძოდ, აფხაზეთში – ჩერქეზულ-ადიღური ეთნოსის წარმომადგენლები, რომლებიც ქართულ და უცხოურ წერილობით წყაროებში მოიხსენიებიან სხვადასხვა სახელწოდებით, მაგრამ, სავარაუდოდ, დროთა განმავლობაში, „აფსუა“ დომინანტი ხდება და მისი სახელწოდება ჩამოსახლებულ მონათესავე ეთნოსებზეც ვრცელდება. XVII ს-დან აქ უკვე იქმნება მათი კომპაქტური დასახლება, რასაც ახლო აღმოსავლეთსა და თავად საქართველოში მიმდინარე პროცესებმა შეუწყვეს ხელი.

XV ს-ის ბოლოს – XVI ს-ის დასაწყისში საქართველო მუსლიმთა გარემოცვაში აღმოჩნდა. სამხრეთ-დასავლეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ოსმალეთის იმპერია და ყიზილბაშური სპარსეთი დაგვიმეზობლდნენ; ჩრდილოეთიდანაც მუსლიმები გვესაზღვრებოდნენ. XVI-XVIII სს-ის განმავლობაში ოსმალებსა და სპარსელებს შორის ფაქტიურად გამუდმებული სამხედრო ოპერაციები მიმდინარეობდა საქართველოს დაპყრობის მიზნით. საომარი მოქმედებები ძირითადად საქართველოს ტერიტორიაზე იმართებოდა. ქართველი ხალხის თავგანწირვა აიძულებდა დამპყრობლებს ხშირ შემთხვევაში გარკვეულ დათმობებზე წასულიყვნენ, მაგრამ ამ ბრძოლების შედეგად მოსახლეობა კატასტროფულად მცირდებოდა, განსაკუთრებით დაბლობ რეგიონებში, სადაც საომარი მოქმედებები იმართებოდა.

XVI საუკუნიდან ჩრდილოეთიდან მოიწევს რუსეთის ძლიერი ქრისტიანული, მართლმადიდებლური სახელმწიფო, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობას კავკასიის მთავარი ქედის ჩრდილო ფერდობებზე ერეკება. ეს ხალხი შემდეგ კავკასიის ქედის სამხრეთ ფერდობებზე, მთისწინეთში გადადის. ასე თანდათანობით, აფსუები ქართული ისტორიული ოლქის – აფხაზეთის გარკვეულ ნაწილს იკავებენ. თანამედროვენი მათ „აფხაზებს“ უწოდებენ, ვინაიდან აფხაზეთში ცხოვრობენ, ქართული შუასაუკუნოებრივი სამართლის მიხედვით კი, უცხოელი, რომელიც დასახლდა საქართველოს მიწაზე, მესამე თაობაში უკვე „მკვიდრია“ (და არა, რასაკვირველია, აბორიგენი). მათი სახელწოდება „აფხაზი“ ქართულიდან შევიდა რუსულ და სხვა ენებში. ცნობილი მეცნიერი პ.კ.უსლარი, რომელმაც რუსეთის მთავრობის დავალებით სპეციალურად შეისწავლა მათი ისტორია და ყოფა-ცხოვრება, წერს: „აფსუა – აფხაზებია“ (პ.კ.უსლარი, კავკასიის ეთნოგრაფია, აფხაზური ენა, 1884, გვ. 121). აფსუები რომ მოსულები არიან, ამას სხვა რუსი მეცნიერებიც აღნიშნავდნენ, მაგ. ა.ნ.დიაჩკოვ-ტარასოვი წერდა: „აფხაზები ყოველთვის როდი ცხოვრობდნენ იქ, სადაც ახლა ცხოვრობენ, გადმოცემები, მათი ისტორიული წეს-ჩვეულებები და მონაცემები მიუთითებენ, რომ ისინი ჩრდილოეთიდან მოსულები არიან. მათ შეავიწროვეს ქართველური ტომები, სანამ ენგურთან არ შეჩერდნენ“ (ბზიფის აფხაზეთი, რუსული საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების უწყებანი, XVIII, თბილისი, 1905, გვ. 65).



აფხაზეთი, ყველა არსებული წყაროს (არქეოლოგიური, უცხოური და ქართული ნარატიული წყაროები, წარწერები...) მიხედვით, ქართული ისტორიულ-კულტურულ-პოლიტიკური სამყაროს ნაწილია. აფხაზეთის ასსრ ტერიტორიის შექმნა ხანგრძლივი ისტორიული პროცესია.

უძველეს ხანაში იგი შედიოდა კოლხეთის ისტორიულ-კულტურულ სამყაროში; კოლხეთის სამეფოს წარმოქმნის დროიდან (ძვ. წ-აღ. I ათასწლეულის დასაწყისი) – მის შემადგენლობაში, ხოლო შემდეგ – კოლხეთის სამეფოს მემკვიდრის – ლაზიკის (ეგრისის) შემადგენლობაში, როგორც მისი ადმინისტრაციული ერთეული (საერისთავო); IX-X საუკუნეებში – აგრეთვე როგორც საერისთავო, იყო იმ დასავლურ ქართული სახელმწიფოს ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც ტრადიციულად „აფხაზთა“ სამეფო ეწოდებოდა, ვინაიდან სამეფო დინასტია საკუთრივ აფხაზეთიდან იყო. ეს სახელმწიფო წარმოიქმნა ორი ქართული ისტორიულ-გეოგრაფიული ოლქის აფხაზეთისა და ეგრისის გაერთიანების შედეგად – აფხაზეთის ერისთავისა და ეგრისის სამეფო გვარის კანონიერი მემკვიდრის დინასტიური ქორწინებით. მოხდა ტერმინ „აფხაზეთის“ მნიშვნელობის გაფართოება, ის მთელ დასავლეთ საქართველოზე გავრცელდა. XI-XV სს-ში აფხაზეთი ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის ერთ-ერთ საერისთავო იყო, თავის ძველ საზღვრებში. ხოლო XVI ს. დასაწყისიდან, საქართველოს დაშლის შემდეგ – დასავლურ ქართული სახელმწიფოს, იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში, სხვადასხვა საწყისებზე. მეფის რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის (XIX ს-ის დასაწყისი), შემდეგ განხორციელებული ადმინისტრაციული რეფორმის შედეგად (როდესაც საქართველოს სახელის აღმოფხვრის მიზნით ქვეყანა დაიყო ორ ნაწილად და იწოდებოდა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიად) აფხაზეთი ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში იყო, ჯერ „სოხუმის სამხედრო განყოფილების“, შემდეგ კი „სოხუმის ოკრუგის“ სახელწოდებით. ასე რომ, სახელწოდება აფხაზეთი ამოიღეს არა ქართველებმა, როგორც ბ-ნი ვახიტოვი წერს, არამედ, მეფის რუსეთის მთავრობამ.

ქართველებმა პირიქით, რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ (1918 წ.) შექმნილ საკუთარ დამოუკიდებელ სახელმწიფოში, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ.) აღადგინეს სახელწოდება აფხაზეთი და ქვეყნის კონსტიტუციის თანახმად მიანიჭეს მას ავტონომიის სტატუსი, რაც აღიარა რსფსრ-ს მთავრობამ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით.

საქართველოში, როგორც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ისე დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობის პერიოდში, აფხაზი ბოლშევიკები, ქართველი ბოლშევიკების მხარდაჭერით, რუსეთის მთავრობის სანქციით, აწყობდნენ გამოსვლებს საქართველოდან გამოყოფის, დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის ან რუსეთის შემადგენლობაში შეყვანის მოთხოვნით. 1921-1931 წწ-ში აფხაზეთის სტატუსი რამდენჯერმე შეიცვალა.

1921 წ. მარტში აფხაზმა (აფსუა) და ქართველმა ბოლშევიკებმა (ნ.ლაკობა, ე.ეშბა, ს.ორჯონიკიძე...) „აფხაზეთში ნამდვილი საბჭოთა ხელისუფლების“ დამყარების მიზნით გამოაცხადეს აფხაზეთის სსრ (აფსნი), რაც მათ მიერვე იმავე წლის ნოემბერში იქნა გაუქმებული და აფხაზეთი ცნობილ იქნა საქართველოსთან ასოცირებულ რესპუბლიკად. საბჭოთა კავშირის 1924 წ-ის კონსტიტუციით საქართველოში დაფიქსირებულია აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. 1931 წ. აფხაზეთის, როგორც საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი, დაამტკიცა აფხაზეთის საბჭოების VI ყრილობამ. ისტორიკოსს უნდა მოეხსენებოდეს, რომ აფხაზეთის სტატუსის ცვლილება არ იყო ერთეული ან გამონაკლისი შემთხვევა საბჭოთა კავშირის არსებობის პირველ წლებში (მაგ. სტავროპოლის, შავიზღვისპირეთის, შორეული აღმოსავლეთის და სხვ.). ამრიგად, დოკუმენტურადაა დადასტურებული, რომ აფხაზეთი, როგორც დამოუკიდებელი არაქართული სახელმწიფო, ფაქტიურად არასოდეს არსებობდა. ამ საკითხზე გამოქვეყნებულია შრომები ქართულ, რუსულ, ინგლისურ და სხვა ენებზე. ბ-ნ ვახიტოვს საქმე რომ არ გავურთულოთ და საგაზეთო სტატია არ გადავტვირთოთ, მივუთითებთ მხოლოდ ბოლო წლებში გამოქვეყნებულ ორ გამოცემას, სადაც ამ საკითხისადმი სპეციალური სტატიებია მიძღვნილი: ქართულ ენაზე – ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2007, და ბ-ნ ვახიტოვისათვის ხელმისაწვდომ რუსულ ენაზე – „ძიებანი აფხაზეთის/საქართველო ისტორიის შესახებ“, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 1999 წ.

* * *

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი (სოაო) შეიქმნა ქართული ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონის შიდა ქართლის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. ეს ტერიტორია ყოველთვის საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა და ერთიანი სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული იყო, რომელსაც მეფის ერისთავი მართავდა. ასეთი ვითარება დადასტურებულია წერილობითი წყაროებით ქართლის (იბერიის) სამეფოს შექმნის დროიდან (ძვ.წ-აღ. IV ს.) მოყოლებული. ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის არსებობის პერიოდში (XI-XV საუკუნეები) შიდა ქართლი ქართლის საერისთავოს შემადგენლობაში შედიოდა, რომლის მმართველებიც ყოველთვის უძლიერესი ქართული ფეოდალური საგვარეულოების (აბაზასძე, ბაღვაში, ორბელი, სურამელი) წარმომადგენლები იყვნენ. ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგ (XVI-XVIII სს.) ყოფილი ოლქის ტერიტორია (და მთლიანად შიდა ქართლი) ქართლის სამეფოში შემავალ ქართულ სათავადოთა (მაჩაბელი, ამირეჯიბი, ფალავანდიშვილი, ქსნის ერისთავები...) შორის იქნა დანაწილებული. ქსნის საერისთავოს, მაგ., ყოფილი სოაო-ს 30 პროცენტი ეკავა.

ოსების ჩამოსახლება და მათი კომპაქტური დასახლება შიდა ქართლში XVII ს-დან იწყება და დაკავშირებულია იმ ისტორიულ მოვლენებთან, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ზემოაღნიშნულ მიგრაციულ პროცესებს. მანამდე დადასტურებულია ოსების დასახლების ორი შემთხვევა გარეშე მტრების (არაბები, მონღოლები) მიერ. 853 წელს არაბმა მხედართმთავარმა ბუღა თურქმა ჩრდილოეთ ოსეთიდან გადმოასახლა 100 ოსური ოჯახი და ჩაასახლა დმანისში. მათი შემდგომი ბედი უცნობია. XIII საუკუნის 60-იან წლებში მონღოლთა ბრძანებით ოსთა ორი რაზმი ჩაასახლეს დმანისსა და ჟინვალში. შემდეგ მათ, მონღოლთა დახმარებით, გააფართოვეს თავიანთი სამფლობელოები, დაიკავეს შიდა ქართლის ნაწილი და ქ.გორი. XIV საუკუნის 20-იან წლებში საქართველოს მეფე გიორგი V, სამწლიანი ომის შემდეგ განდევნა ისინი საქართველოს საზღვრებიდან („განასხნა და აღფხურნა“– წერს ქართველი მემატიანე). XVII-XVIII საუკუნეებში იყო შემთხვევები, როდესაც ქართველი მეფეები და თავადები დაცარიელებული მიწების დასახლების მიზნით, ხელს უწყობდნენ მათ ჩამოსახლებას.

IX-XVIII საუკუნეების ქართული ისტორიული დოკუმენტები, V-XVIII საუკუნეების ეპიგრაფიკული ძეგლები (წარწერები) და ხუროთმოძღვრული ძეგლები მოწმობენ, რომ ყოფილი სოაო-ს ტერიტორია, ისევე როგორც მთელი შიდა ქართლი, ყოველთვის შედიოდა ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში, სადაც ცხოვრობდნენ მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენლები, მხარის გამგებელი თუ ადგილობრივი დიდი ფეოდალები, მათი ვასალები, აზნაურები, ყმა-გლეხები, ეკლესიების მაშენებელი ხუროთმოძღვარ-ხელოსნები, როგორც წესი ქართველები, მართლმადიდებელი ქრისტიანები, რომელთა სალაპარაკო, ლიტერატურული, სახელმწიფო და ღვთისმსახურების ენა იყო ქართული. რუსეთის ელჩობის (1604-1615 წწ.) მეთაურის მ.ი. ტატიშჩევის ცნობით, საქართველოში სულ 200-მდე ოსური ოჯახი ცხოვრობდა მდ.დიდი ლიახვის სათავეში (ს.ა.ბელოკუროვი, რუსეთის ურთიერთობა კავკასიასთან, მ. 1889, გვ. 508).

**მარიკა ლორთქიფანიძე,**
აკადემიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
**გიორგი ოთხმეზური,**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

(დასასრული შემდეგ ნომერში)

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „სრ“ № 14-15.

◉ აგრესორის სახე

**რას შეიძლება ნიშნავდეს ვლადიმერ პუტინის მიერ ამერიკულ საagენტო Bloomberg-ისათვის მიცემულ ინტერვიუში გაკეთებული განცხადებები, თითქოს მოსკოვი აშშ-ს ახალი ადმინისტრაციისგან იღებს სიგნალებს იმის შესახებ, რომ ვაშინგტონი მზადაა უარი თქვას ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის განლაგებასა და უკრაინისა და საქართველოს ნატოში გაწევრებაზე. იმაზე, თუ რატომ არ ჩქარობს დასავლეთი აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში შექმნილი სტატუს-კვოს შეცვლაზე, „ინტერპრესნიუსი“ პოლიტოლოგ ზურაბ დავითაშვილს ესაუბრა.**

# ზურაბ დავითაშვილი:

# მოსკოვი ვაშინგტონს თამაშის საკუთარ წესებს სთავაზობს



**— ბატონო ზურაბ, რას ნიშნავს პუტინის მიერ ამერიკული სააგენტო bloomberg-ისათვის მიცემულ ინტერვიუში გაკეთებული განცხადებები?**

— ჩემი აზრით, მოსკოვი ვაშინგტონს თამაშის საკუთარ წესებს სთავაზობს. პუტინმა კრემლისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე ნიადაგი მოსინჯა, როგორც იტყვიან, თემა შეაგდო და იმედი გამოთქვა, რომ აშშ-ს ახალი ადმინისტრაცია გადახედავს წინა ადმინისტრაციის მიერ გადადგმულ ზოგიერთ ნაბიჯს, რომელიც, რუსეთის აზრით, ხელს უშლის მშვიდობისა და უსაფრთხოების განმტკიცებას ევროპის კონტინენტზე.

პუტინმა რუსეთის სურვილი გაახმოვანა, მაგრამ მე ნაკლებად მგონია, რომ აშშ-ს ახალი ადმინისტრაცია წინა ადმინისტრაციის მიერ მიღებულ სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს გადახედავს და მასზე მოსკოვის პოზიცია რაიმე გავლენას იქონიებს. მიმაჩნია, რომ აშშ გააგრძელებს ამერიკის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიულ ხაზსა და იმ პრინციპებით საქმიანობას, რომელიც უკვე განსაზღვრულია.

იგივე ეხება ნატოს გაფართოების საკითხსაც. არავის არა აქვს უფლება, ამ პროცესს ვინმემ ხელი შეუშალოს. სხვა საკითხია, რომ „დემოკრატები“, „რესპუბლიკელებისგან“ განსხვავებით, რუსეთის მიმართ მკვეთრ განცხადებებს არ გააკეთებენ, მაგრამ მიზნის მისაღწევად თანმიმდევრული ნაბიჯების გადადგმას რომ გააგრძელებენ, ეჭვი არ მეპარება.

რაც შეეხება აშშ-ს რუსეთთან ურთიერთობებს, პირველ ეტაპზე იქნება მცდელობები, რომ მოგვარდეს სადავო საკითხები, მაგრამ არა იმ პრინციპებზე უარის თქმის ხარჯზე, რაც ამერიკის საგარეო პოლიტიკისთვის არის დამახასიათებელი. უკრაინისა და საქართველოს ნატოში გაწევრება შეუქცევადია, ამერიკის მხრიდან ამაზე უარის თქმას არ უნდა ველოდოთ და არც ის მგონია, რომ აშშ ჩეხეთსა და პოლონეთში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის განლაგებას გადაიფიქრებს.

**— აფხაზეთთან და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით დასავლეთის, კერძოდ, ევროკავშირისა და ევროსაბჭოს აქტიურობის მიუხედავად, ამ რეგიონებში რუსე-**

სეთის სასარგებლოდ შეცვლის. დასავლეთი რუსეთის გაღიზიანებას იმ დრომდე ერიდება, სანამ მისი გაღიზიანება, უკვე საშიში არ იქნება.

**— ევროპის მხრიდან გრძელვადიან პერსპექტივაზე გათვლილი პოლიტიკის ფონზე რუსეთი პრაქტიკულად ითვისებს აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს. ოჩამჩირეში მალე რუსეთის საზღვაო ფლოთის სასარგებლოდ არსებული სტატუს-კვო არ იცვლება და იქმნება შთაბეჭდილება, რომ თითქოს ამ ვითარებას დასავლეთიც ეგუება.**

— დასავლეთი რუსეთის მიმართ მკვეთრ ნაბიჯებს არ გადადგამს, მაგრამ დასავლეთი იმ ხაზს, რომელიც აღებული აქვს, მეთოდურად მანამდე გაატარებს, ვიდრე არსებული სტატუს-კვო არ შეიცვლება. საჭირო მომენტში და იმ დროს, როცა ამის საშუალება იქნება, დასავლეთი რუსეთის მიმართ ამ ნაბიჯებს მაშინ გადადგამს და არსებულ ვითარებას არა რუ-

**ტის განლაგება დაიწყება. მედვედევმა განსაკუთრებულ დავალებათა ელჩს ალექსანდრე გოლოვინს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის საქართველოსთან საზღვრების დადგენაზე პასუხისმგებლობა დააკისრა. რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ შეჩერდეს რუსეთის მიერ ქართული ტერიტორიების ოკუპაცია და ანექსია?**

— ოჩამჩირეში რუსეთის საზღვაო ძალების განლაგება და აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის საზღვრების დადგენა პროვოკაციულ ხასიათს ატარებს. ოჩამჩირეში არანაირი ისეთი ნავსადგური არ არის, რომ შესაძლებელი იყოს რუსული ფლოტის განლაგება. ამით რუსეთი კონფლიქტს მხოლოდ აღრმავებს. ოჩამჩირის ნავსადგურს ისეთი განლაგება ნამდვილად არა აქვს, რომ იქ თანამედროვე კრეისერები განლაგდეს და ეს პორტი რუსეთის საზღვაო ბაზად იქცეს. ეს იმდენად ძვირადღირებული პროექტია, რომ მისი განხორციელება ნაკლებად სავარაუდოდ მეჩვენება. სწორედ ეს მაფიქრებინებს, რომ რუსეთი საქართველოს მიმართ პროვოკაციულ პოლიტიკას აგრძელებს და გვახსენებს, რომ ამის გაკეთება შეუძლია.

რაც შეეხება საზღვრებს, ეს სერიოზული საკითხია. რუსეთი ახლა საქართველოსთან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საზღვრების დადგენას ცდილობს. აფხაზეთი თვლის, რომ მისი აღმოსავლეთი საზღვარი მიუყვება მდინარე ენგურს, გრძელდება

➡

◉ გლობუსი

# ტელევიზიით მართვის

**ქართული ტელეკომპანიების გადაცემებიდან გამომდინარე, თავისუფლად შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს ხელისუფალთა სამუშაო დროის დიდი ნაწილი უცხოელი პოლიტიკოსების განცხადებაზე რეაგირებას ხმარდება. საკმარისია საზღვარგარეთ ვინმეს წამოცდეს საქართველოზე დადებითი ან უარყოფითი, ავტომოპასუხე პრეზიდენტი, პარლამენტარები, მინისტრები, პოლიტოლოგები და ე. წ. ცნობადი სახეები, ჯიბეში ხელჩაუყოფლად ისეთ პასუხებს ისვრიან, ყვავს ჩამოაგდებენ ხიდან.**

პასუხების მიხედვით თვალშისაცემია საკითხების „ღრმა ცოდნა“, „ობიექტურობა“ და, რაც მთავარია, საკუთარ ნათქვამზე „პასუხისმგებლობა“. მათ საქებრად უნდა ითქვას — სხვათა ნათქვამის ინტერპრეტაციაში ბადალი არ ჰყავთ. ზემოთ ჩამოთვლილი კატეგორია ისე ოსტატურად ახერხებს უცხოელთა აზრის გადაკეთებას, ავტორიც ვერ გაარკვევს არსს. არც ისაა იშვიათობა, როდესაც უცხოელ პოლიტიკოსს, ალბათ იმის იმედით, რომ მაინც ვერ გაიგებს, იმას აბრალებენ, რაც არ უთქვამს. **საილუსტრაციოდ საგარეო უწყების ხელმძღვანელის ამასწინანდელი ბრიფინგიც კმარა — ჰილარი კლინტონმა სენატში გამოსვლის დროს მხარდაჭერა აღუთქვა საქართველოსო. კლინტონის 33-წუთიან მოხსენებაში გაკვრითაც არ იყო ნათქვამი საქართველო-უკრაინის შესახებ, ხოლო თუ რა თქვა მან დერეფანში, აღფრთოვანების საბაბი არ უნდა იყოს. აი, რაც შეეხება რუსეთს, მინისტრის თქმით, ვისგან დაცვასაც კლინტონი გვპირდება, ხაზგასმით აღინიშნა, რომ ამერიკის ახალი ადმინისტრაცია მზადაა ითანამშრომლოს მასთან სხვადასხვა საკითხების მოგვარებისთვის. მინისტრის ოპტიმიზმი არაფერია პრეზიდენტის ოპტიმიზმთან შედარებით. ვრცელი სატელევიზიო გამოსვლის დროს მან ისეთი სურათი დაუხატა მაყურებელს, თითქოს დღეში რამდენჯერმე ჰქონდეს საუბარი ობამასთან, ბაიდენთან, ამერიკის ხელისუფლების სხვა მაღალი თანამდებობის პირებთან.**




დღე ისე არ ჩაივლის, რომ პრეზიდენტმა და მისმა გუნდმა თითო იმპორტული „გასახარით“ არ „გაახალისოს“ ჩვენი ცხოვრება. არის შემაშფოთებელი ინფორმაციაც. ამ სფეროში რუსი პოლიტიკოსების ნათქვამის თავისებური აღქმის დიდოსტატებად გვევლინებიან ქართველი ჩინოსნები. რუსი პოლიტიკოსების ნებისმიერი სიტყვა კორიდის ხარისათვის წითელი ნაჭრის აფრიალების ტოლფასია. მეზობელი სახელმწიფოს პოლიტიკოსთა ნათქვამისთვის უზომო ყურადღების გამოვლინება უკურეაქციას იწვევს და იმის მანიშნებელია, რომ საქართველოს პოლიტიკურ ელიტას ურუსეთოდ ცხოვრება არ შეუძლია.

ბოლო დროს ქართული პოლიტიკური სპექტრის მძიმეწონიანი წარმომადგენლებიდან უცხოურ ვერბალურ შემოტევას მხოლოდ პრეზიდენტი იგერიებს. პარლამენტის თავმჯდომარე და პრემიერ-მინისტრი საავადმყოფოში იშუშებენ „იარებს“. იმედია, მალე გამოჯანმრთელდებიან და აქტიურად ჩაებმებიან კითხვა-პასუხის პროცედურაში. ხალხს მოენატრა სპიკერი, რომელიც ავტომოპასუხის პროფესიას კარგად ფლობს — ტრაფარეტული, გაზეპირებული ლექსიკით, მონოტონურ-დიდაქტიკური ლაპარაკით.

**ნაკლებწონიანებიდან თავის მოწონება-აქაფების შესაშურ სწრაფვას ავლენს საგარეო უწყების ახალი „ვარსკვლავი“. მან ისე სწრაფად აუღო ალღო ქართულ იერარქიულ სინამდვილეს, რომ საზღვრის იქით სულაც არ არის საჭირო ვინმეს გამოსვლა, მის ნაცვლად ისეთ კომენტარს გამოაცხობს, ყველას რომ შეშურდება.**

დამერწმუნეთ, ამას, დიდი დიპლომატიური ალღო და შორსმჭვრეტელობა ესაჭიროება — თქვა ის, რაც არ უთქვიათ. როგორც ჩანს, მოჩვენებითობას კარგად დააუფლეს მოსკოვის სმოლენსკის მოედანზე აღმართულ შენობაში.

**ხელისუფლება, რომ ზრუნავს ხალხის ფსიქიკურ მდგომარეობაზე, მტკიცება არ სჭირდება. მან კარგად იცის, როგორ ზრდის წნევას ტელევიზიით გადმოცემული უცხოური ინფორმაციები, განსაკუთრებით მტრის ენაზე, ანუ რუსულად მოწოდებული. ამიტომაც გადაწყვიტა გამოერთო ინფორმაციის მატარებელი ყველა რუსული ტელეარხი, რუსულენოვანი ევრონიუსი და იქაური ამბების გადმოცემა საკუთარ თავზე იტვირთა.**

ტელევიზიით ქვეყნის მართვის ხელოვნება სისტემატურ განახლებას საჭიროებს, ამიტომაც ადგილი აქვს ძიებას, ახალი ხერხის გამოგონებას, ქვეყნის იმპროვიზაციული სატელევიზიო მართვის დახვეწას. მართვის სხვა მეთოდებიც მოძველდა, ისეთები, როგორიცაა სოფელ-ქალაქ საპიარო ხეტიალი, ბათუმის ხშირი სტუმრობა, „ახალი საწარმოების“ მონახულება. სასიარულოც სადღაა დაპატარავებულ საქართველოში. **სკამის შენარჩუნებას ახალი სატელევიზიო გამოგონება ესაჭიროებოდა და აი ისიც — ექსპერტებთან შეხვედრები, მრავალსაათიანი სატელევიზიო შოუები. ყვავს კაკალი გააგდებინეს პრინციპზე გაზრდილ, პრეზიდენტთან შეხვედრის მსურველ ექსპერტს ვინ გამოლევს საქართველოში. რაც შეეხება სატელევიზიო გამოსვლას — იძულებითი მოსმენა გარანტირებულია, მით უმეტეს, როდესაც ყველა არხით გადაიცემა.**

ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერში პრეზიდენტთან შეხვედრაგამოვლილები ისე იმართლებდნენ თავს — იმიტომ მივედით სიმართლე გვეთქვა პირში, თითქოს დანაშაული ჰქონდათ ჩადენილი. მათი „თავდადება“ ხომ სახელმწიფო გადარჩენის სურვილით არის გამოწვეული და არა პირადი მოთხოვნების დაკმაყოფილებით?! **მაინც რა დაუნახავი ხალხი ვართ — ისე ვერ შევაფასეთ ამ ნაბიჯის სისწორე, როგორც უნდა შეგვეფასებინა, მაგრამ არა უშავს, შთამომავლობა დაუფასებს, თუმცა ერთი უმნიშვნელო დეტალი — ის,**

„ენგურჰესის“ წყალსაცავის ზემოთ მდებარე ტერიტორიაზე, რომელიც აფხაზეთს არასოდეს არ ეკუთვნოდა და გადის მდინარე ნენსკრაზე, რომელიც კავკასიონის ქედიდან ჩამოდის. ამით მათ სურთ საზღვრის ჩვენს სიღრმეში მნიშვნელოვნად გადმოწევა და „ენგურჰესის“ წყალსაცავის ხელში ჩაგდება, რათა შემდეგ სრულად დაეპატრონონ იმ გვირაბებს, რომლითაც აფხაზეთში მდებარე ჰესებს წყალი ჩვენი მხრიდან გვირაბებით მიეწოდება.

ეს ისეთი მაპროვოცირებელი განცხადებები და ქმედებებია, რომ ამას მართლაც დასჭირდება საერთაშორისო საზოგადოების ჩარევა, მაგრამ ჩვენ ამისათვის მზად უნდა ვიყოთ. რუსეთი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ საქართველოში ისეთი სიტუაცია და ხალხის განწყობა შექმნას, რომ საზოგადოებამ მხოლოდ მშვიდობაზე და რუსეთთან მეგობრულ ურთიერთობაზე იოცნებოს და დანარჩენზე არ იფიქროს. აშკარაა, რომ რუსული პოლიტიკა ამისკენ არის მიმართული.

ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ!

**— ევროკავშირი „ნაბუკოს“ პროექტის განხორციელებაზე სერიოზულად ფიქრობს. რამდენად რეალურია რუსეთის გვერდის ავლით „ნაბუკოს“ გაზსადენის განხორციელება?**

— ამ პროექტის განხორციელება, ადრე თუ გვიან, გარდაუვალია, მაგრამ უახლოეს ხანში მისი რეალიზაციის დაწყებას არ ველოდები. ვფიქრობ, რომ ეკონომიკური კრიზისისა და სხვა მოსაზრებების გამო ერთი ორი წლით „ნაბუკოს“ პროექტი გადავადდება და ამჟამად, ევროპა ასეთ მკვეთრ ნაბიჯზე არ წავა.

**კობა ბენდელიანი**

## ◎ წახალისება

# აფთიაქებიდან ავტოგასამართ სადგურებამდე



**შარშანდელმა აგვისტოს მოვლენებმა რა დღეშიც ჩააგდო მთლიანად ქვეყანა, ამის თაობაზე ბევრი ითქვა და დაიწერა, კიდევაც არაერთგზის დავუბრუნდებით ამ თემას. ერთი კია. ამ გაჭირვების დღეებში ეროვნული ეკონომიკის რამდენიმე სექტორი მუშაობდა გამართულად, მათ შორის შეუფერხებლად ხდებოდა მოსახლეობის ნავთობპროდუქტების მომარაგება.**

ისევე, როგორც ყველგან, ამ სფეროშიც არსებობენ ლიდერი კომპანიები, რომლებიც სხვადასხვა პარამეტრით მოწინავენი არიან, სხვებზე უკეთ მუშაობენ. საქართველოს ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირმა გასული წლის შედეგები დააჯამა, საუკეთესონი გამოავლინა და დააჯილდოვა.

— საუკეთესოთა დადგენა და მათი დაჯილდოება კავშირისთვის უკვე ტრადიციად იქცა, მას წლეულს მეხუთედ ვატარებთ, — აღნიშნა ექსკლუზიურ ინტერვიუში ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის თავმჯდომარემ ვანო მთვრალაშვილმა. — ხაზი მინდა გავუსვა იმ გარემოებას, რომ ანალოგიური ღონისძიება ეკონომიკის სხვა არც ერთ სექტორში არ იმართება. მიგვაჩნია, რომ ნავთობკომპანიების წვლილი ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობაში მეტად მნიშვნელოვანია, რისი ნათელი მაგალითია სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანილი თანხების ოდენობა, რომელმაც შარშან 408 მილიონ ლარს გადააჭარბა. შედარებისთვის აღვნიშნავ, რომ 2003 წელს ნავთობკომპანიებმა ბიუჯეტში სულ 90 მილიონი ლარით შეავსეს. ყოველივე ეს კი იმის წყალობით გახდა შესაძლებელი, რომ ადრე კონტრაბანდული საქონლით გაჯერებულ ბაზარზე ამჟამად ლეგალურად შემოტანილი პროდუქცია იყიდება, ამ მხრივ კი პოსტსაბჭოურ სივრცეში საქართველო ლიდერია. ამდენად მიგვაჩნია, რომ წარჩინებული კომპანიების წახალისება მათთვის სამომავლო მოღვაწეობის კიდევ მეტად გაუმჯობესების კარგი სტიმულია, — თქვა ბატონმა ვანო მთვრალაშვილმა.

— ჩვენ ნავთობის ცივილიზაცია ვართ, ჯერ კიდევ ორი საუკუნის წინათ ნავთობი აფთიაქებში იყიდებოდა, სადღეისოდ კი იგი უნივერსალურად გამოიყენება, — აღნიშნა დაჯილდოების ცერემონიაზე საქართველოს ეკონომიკის განვითარების მინისტრმა ლაშა ჟვანიამ, რომელმაც ხაზი გაუსვა იმას, რომ ნავთობკომპანიების წარმატებები აუცილებლად უნდა აისახოს სამუშაო ადგილების ოდენობის ზრდასა და, შესაბამისად, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

2008 წელს ნავთობპროდუქტების სექტორში სახელმწიფო ბიუჯეტში ყველაზე მეტი თანხა გადაიხადეს **„სოკარ ჯორჯია პეტროლეუმმა“ — 172 მილიონ 218 ათასი ლარი, „ვისოლ პეტროლეუმ ჯორჯიამ“ — 76 მილიონ 823 ათასი ლარი** და **შპს „ლუკოილ ჯორჯიამ“ — 75 მილიონ 731 ათასი ლარი.** სხვა ნომინაციებში გაიმარჯვეს: სახელმწიფო ბიუჯეტში მსხვილი გადამხდელი ნავთობპროდუქტების რეალიზატორი კომპანია — „ოპტიმუმი“, „ეკო ჯორჯია“; სახელმწიფო ბიუჯეტში მსხვილი გადამხდელი ზეთებისა და საცხებ-საპოხი მასალების იმპორტიორი კომპანია **„GT Group“ („კასტროლის“ ზეთების რეალიზატორი), საკუთრებაში არსებული ავტოგასამართი სადგურების ყველა ფართო ქსელის მქონე კომპანია „ვისოლ პეტროლეუმ ჯორჯია“; კომპანია, რომელსაც ყველაზე მეტი ადამიანი ჰყავს დასაქმებული — „ვისოლ პეტროლეუმ ჯორჯია“; ნავთობკომპანია, რომელმაც ყველაზე დიდი ინვესტიცია განახორციელა 2008 წელს — „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“; საუკეთესო ინფრასტრუქტურის მქონე ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ტერმინალი — „შავი ზღვის ტერმინალი“, ნავთობპროდუქტების შიდა საავტომობილო გადამზიდველი კომპანია „ვ-ტ“; საზოგადოებაზე მზრუნველი კომპანია — „სოკარ ჯორჯია“, „ვისოლ პეტროლეუმ ჯორჯია“; „ლუკოილ ჯორჯია“, „ავიასაწვავსერვისი“, „GT Group“, „ჯეო ელფი“ და „ბიზოლ ჯორჯია“,** და ბოლოს ნავთობპროდუქტების სექტორში შეტანილი ღვაწლისთვის — ირაკლი დაბრუნდაშვილი, ვახტანგ კიკნაძე და მერაბ კაცაძე.

კონკურსში გამარჯვებული კომპანიების წარმომადგენლებს სამახსოვრო ჯილდოები გადასცეს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ლაშა ჟვანიამ, ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის თავმჯდომარემ ვანო მთვრალაშვილმა, საქართველოს სახალხო არტისტმა ვახტანგ კიკაბიძემ, პარლამენტარმა მარიკა ვერულაშვილმა, სხვებმა.

**ოთარ ტურაბელიძე**

## ◎ გლობუსი

# „ხელოვნება“

**ვინც „სიმართლე“ მოისმინა, მეორე დღეს ისეთი თავდავიწყებით, შეუპოვრობით, სითამამით და სიამაყით ეკვეთა ქვეყნის მოსახლეობას და ოთხი საათის განმავლობაში ისეთი სატელევიზიო კორიანტელი დაუტრიალა თავზე, რომ სატელევიზიო კითხვა-პასუხის დიდოსტატ პუტინსაც შურის ალმური გადაჰკრავდა სახეზე.**

პრეზიდენტის მოხერხებულობას საზღვარი არა აქვს, ისე, როგორც ტელეკომპანიების ნოვატორობას. ხუმრობა ხომ არ არის 4 საათის განმავლობაში ტელეეკრანზე „ლაივში“ მყოფ პრეზიდენტს „ესაუბროს“ საზოგადოებას და ერთი პირდაპირი შეკითხვაც ვერ დაუსვას. რამხელა „მოფიქრებაა“ საჭირო, რომ კითხვის ავტორი წინასწარ ჩაწერო. ცხადია იყო დარბაზის კითხვებიც, თითზე ჩამოსათვლელი, ზედმიწევნით გაწურულ-გაშალაშინებული. რესპონდენტი კი იყო ლაღი და ამაყი, ხუთი წლის განმავლობაში გაკეთებული კეთილი საქმეებით ხელდამშვენებული, დროდადრო ფეთქებადი, იმპულსური, რაც მაყურებელს აჯაჭვავს ტელეეკრანს — დაუგეგმავი ჩხუბის მოლოდინში. პრეზიდენტმა სიტყვა „ამაყი“ რამდენჯერმე ახსენა. განვლილი პერიოდის „აღმშენებლური“ პროცესებიდან გამომდინარე. თუმცა შოუში მონაწილეთა თუნდაც გარანდულ-გაწურული კითხვებიდან გამომდინარე სიამაყის ნატამალიც არსად ჩანდა — არ გვაქვს წყალი, გაზი, შუქი, გზა, ხელფასი, სამსახური, ჭერი, საკვები და სხვა მსგავსმა „ესემესებმა“ წალეკა ეკრანი. პრეზიდენტი კი მაინც ამაყად აგრძელებდა მონოლოგს.

**ხელისუფლების მიერ გამოგონილი სახელმწიფოს მართვის ახალი მეთოდი რამდენიმე დღე შეგვაქცევინებს თავს. შემდეგ სხვას შემოგვთავაზებენ ან ისევ ძველს გაიმეორებენ, რუსეთის ლანძღვით, ქილიკით, ეკონომიკური დაქცევით, მოსახლეობის ცხოვრების დონის დაცემით და სხვა საკითხებით.**

პრეზიდენტის სატელევიზიო შოუ საერთაშორისო აღმოჩენებითაც იყო აღსავსე. სოფლის ორლობის დონის განსჯა არახალია, მაგრამ ბოლომ, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. განსაკუთრებით თვალში საცემი იყო გაეროს მუშაობის შეფასება. სააკაშვილს არაერთხელ შეუმკია არადიპლომატიური ეპითეტებით მსოფლიოს ეს ორგანიზაცია, მაგრამ ის, რომ რუსებმა გაეროს დამკვირვებლებს „დაახვევინეს“, ახალია. პუტინის შაჰ აბასობაც საინტერესო მიგნებაა და დარწმუნებული ვარ სააკაშვილის კარის „ისტორიკოსი“ პატივცემული მასხარაშვილი წარმატებით გამოიყენებს თავის ახალ კვლევებში“. ნიკარაგუის პრეზიდენტის ორტეგას ჩეკისტობა ისეთი სიახლეა, წყალი რომ არ გაუვა. ამ საზომით უგო ჩავესი, ძმები კასტროები, მორალესი, აჰმადინეჟადი, ჰუ ძინტაო, ასადი, სხვები და სხვები კაგებეშნიკებია. პრეზიდენტმა ამაყად ისიც თქვა თუ, როგორ ჩაარტყა თავში ისრაელმა ჰამასს, ოღონდ ერთია — ჩარტყმით ისრაელმა მთელს მსოფლიოში მოიჭრა თავი. მისი საკითხი ომში ჩადენილ დანაშაულთა კატეგორიას მიეწერა. საერთაშორისო საკითხების პრეზიდენტისეული თავისუფალი ახსნა-განმარტება უხერხულ მდგომარეობაში აყენებს არა მარტო მას, არამედ იმას, ვისაც ის წარმოადგენს, თუმცა ეს არც მას და არც „საგარეო სახეს“ არ ადარდებს. ამ უკანასკნელმა ერთ-ერთი პრესკონფერენციის დროს დიდი ლურსმანი ჩააჭედა რუსეთის კუბოს“. როგორც ჩანს რუსეთთან ურთიერთობის გამოსწორებას არავითარი პირი არ უჩანს.

აი, ასე, კითხვა-პასუხობანაში გადის დრო და ასეც გაგრძელდება იმაზე მეტ ხანს, ვიდრე კონსტიტუციით არის გამოყოფილი. შოუში მონაწილე „ცნობადი სახეები“, ექსპერტები და პოლიტოლოგები თავდავიწყებით მოუწოდებენ ჩვეულებრივ მომაკვდავთ, რომ ახლა ასეა საჭირო. მხარში უნდა ამოვუდგეთ მამა-მარჩენალს.

**მარტო ტელევიზიით ქვეყნის მართვა შეუძლებელია. მას სხვაც სჭირდება, რაც ამათ არ იციან.**

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან იმდენი დრო გავიდა, რამდენიც საკმარისი უნდა ყოფილიყო ქვეყნის ასაშენებელი ფუნდამენტის ჩაყრისათვის. წინა ხელისუფლებამ, მიუხედავად არაერთი დაბრკოლებისა, რის ვაი-ვაგლახით მოახერხა სახელმწიფო სტრუქტურის ჩამოყალიბება, ეროვნული ფულის ერთეულის შემოღება, საბჭოთა პასპორტებიდან, ეროვნულ პასპორტებზე გადასვლა, ნატოსთან დაახლოება და სხვა, მაგრამ **ამასთანავე ფართო გზა გაუხსნა კლანურ-კრიმინალურ სისტემას, მოსახლეობის ანაბრების მიტაცებას, გაუსაძლის სოციალურ და ეკონომიკურ პირობებს, ტერიტორიების კარგვას და სხვა, რამაც განაპირობა რევოლუცა. ქვეყანა ვერ შეიქმნა.**

**ახალმა ხელისუფლებამ თავი გამოიჩინა ფართომასშტაბიანი ტყუილი დაპირებით, ადმინისტრაციული ორგანოების განმტკიცებით, სახელმწიფო ორგანოების მუშაკებისთვის ხელფასების გაზრდით, პენსიებისა და ხელფასების დროული დარიგებით, 40 წლის ასაკს გადაშორებული ხალხის სამსახურიდან დათხოვნით. გაუაზრებელი დარგობრივი რეფორმებით, ფაქტიურად დაკარგული ტერიტორიების იურიდიულად დაკარგვით, რუსეთთან ომით. ქვეყანა ვერ შეიქმნა, მაგრამ ეს ნაკლები პრობლემაა მთავართან — ქვეყნის არსებობასთან და გაჩენილ კითხვებთან შედარებით, ისეთთან, როგორიცაა — შეძლებს სუტი, ჩამოუყალიბებელი ქვეყანა შიდა და გარე შემოტევების გადატანას?**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი

## ◎ ინფორმაცია

### ევროსასამართლომ პატიმართა მოთხოვნები დააკმაყოფილა

**ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ შალვა რამიშვილისა და დავით კოხრეიძის მიმართ საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ევროკონვენციის მუხლების დარღვევა დაადგინა.**

**სასამართლომ საქართველოს სახელმწიფოს დაავალა, ტელეკომპანია „202“-ის დამფუძნებლებს შალვა რამიშვილსა და დავით კოხრეიძეს, თითოეულს, 6 000 ევრო გადაუხადოს არამატერიალური ზარალის ასანაზღაურებლად და 14 694 ევრო ორივეს ერთად — ხარჯების ანაზღაურებისთვის.**

**როგორც ევროსასამართლოს საიტზე გამოქვეყნებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, საქართველომ ეს ხარჯები სამ თვეში უნდა აანაზღაუროს.**

**ევროსასამართლო აღნიშნავს, რომ კოხრეიძისა და რამიშვილის მიმართ, ევროკონვენციის მესამე მუხლი დაირღვა, როდესაც რამიშვილი მე-5 საპყრობილეში გაუსაძლის პირობებში იმყოფებოდა, კოხრეიძე კი გადატვირთულ საკანში, რომელიც ამავე საპყრობილეში მდებარეობდა. ევროსასამართლომ პატიმრობის პირობების დარღვევად მიიჩნია ისიც, რომ სასამართლო განხილვის დროს განსასჯელები ლითონის გისოსებში იმყოფებოდნენ.**

**ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ კოხრეიძე და რამიშვილი 2005 წლის 27 ნოემბრიდან 2006 წლის 13 იანვრამდე სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, ვადების დარღვევით უკანონო პატიმრობაში იმყოფებოდნენ.**

**ევროსასამართლომ მხოლოდ ერთ პუნქტში არ მიიჩნია „202“-ის დამფუძნებლების უფლებების დარღვევა. კერძოდ, ევროსასამართლომ დარღვევად არ მიიჩნია გამოძიების მიერ დაკავებულებისთვის მათი საწინააღმდეგო ვიდეომასალის არჩვენება.**

ინტერპრესნიუსი

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# რუსეთი აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან სახელმწიფოს საზღვრებს აფორმებს

**რუსეთი შეუდგა სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან თავისი საზღვრების გაფორმებას. ამავე დროს მოსკოვის მიერ აღიარებულმა ამ რესპუბლიკებმა დაიწყეს საქართველოსთან თავიანთი საზღვრების მოწყობა. თანაც სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის საზღვრები საქართველოსთან განსხვავებული იქნებიან ძველი ადმინისტრაციული საზღვრებისგან. კერძოდ, როგორც „კომერსანტი" იუწყება, სამხრეთ ოსეთს ახლა მიეკუთვნება ახალგორის რაიონი, აგრეთვე დიდი და პატარა ლიახვის სოფლები. ყოველივე ეს გარდუვალად გამოიწვევს ახალ გამწვავებას მოსკოვსა და თბილისს შორის. იგი უკვე გააძლიერა რუსეთის სამხედროთა განცხადებამ, რომ წელს აფხაზეთში დაიწყება დიდი სამხედრო-საზღვაო ბაზის მშენებლობა.**

აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან, როგორც აღიარებულ სახელმწიფოებთან, საზღვრების იურიდიული გაფორმების პროცესი მას შემდეგ დაიწყო, რაც პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა თავის სპეციალურ წარმომადგენელს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებთან რუსეთის ფედერაციის სახელმწიფოს საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის საკითხებში ალექსანდრ გოლოვინს დაავალა შეემუშავებინა შესაბამისი პროცედურა – ეს ცნობილი გახდა კვირის დამდეგს. „როგორც იქნა მკაფიოდ განისაზღვრება და დაფიქსირდება აფხაზეთ-რუსეთის საზღვარი, – განუცხადა „კომერსანტს" აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მეთაურმა სერგეი შამბამ. – საქმე ეხება ძალიან დიდ ტერიტორიას, კერძოდ მთიანსაც, რომელიც გაყოფილია ბუნებრივი საზღვრით – მდინარე ფსოუთი. სწორედ ამ მდინარეზე გაივლის საზღვარი". უკვე წელს აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან სახელმწიფო საზღვრები დაფიქსირდება ახალ რუკებზე – რუსეთის ფედერაციის გეოგრაფიულ რუკაზე და მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე, რომელსაც გამოუშვებს როსკარტოგრაფია. გუშინ გეოდეზიისა და კარტოგრაფიის ფედერალურმა სააგენტომ გამოაქვეყნა ცნობა, რომ გამოსაშვებად ამზადებს რუკებს, სადაც „სამხრეთი ოსეთი და აფხაზეთი მონიშნული იქნებიან როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოები". როსკარტოგრაფიის წარმომადგენელთა თქმით, რუსეთის მიერ აღიარებული რესპუბლიკები, რომლებსაც ოფიციალურად ეწოდა „აფხაზეთის რესპუბლიკა" და „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა" განსხვავებული იქნებიან ფერით მეზობელი ტერიტორიებისგან, რათა ჩანდეს, რომ ეს „დამოუკიდებელი სახელმწიფოები" არიან. მათი დედაქალაქები მონიშნული იქნებიან როგორც სოხუმი და ცხინვალი – რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს რეკომენდაციათა შესაბამისად.

აფხაზეთის ხელისუფალნი აგრეთვე აპირებენ ოფიციალურად დააფიქსირონ საქართველოსთან სახელმწიფო საზღვრის არსებობა. „იქ, სადაც მდინარე ენგური ჰყოფს საქართველოსა და აფხაზეთს, სწორედ იქ გაივლის სახელმწიფო საზღვარი", – განუცხადა „კომერსანტს" ბატონმა შამბამ. რუსეთის ფედერაციისა და სამხრეთ ოსეთის საზღვარიც გაივლის ბუნებრივ მიჯნაზე – კავკასიონის ქედზე. „ეს საზღვარი წინათაც არსებობდა, დიდი ცვლილებანი იქ არ მოხდება, უბრალოდ იგი ახლა დადგინდება იურიდიულად, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს საზღვარი", – განუცხადეს „კომერსანტს" სამხრეთ ოსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში. სამაგიეროდ სამხრეთ ოსეთსა და საქართველოს შორის გაჩნდება ახალი სახელმწიფო საზღვარი, რომელიც განსხვავებული იქნება წინა – ადმინისტრაციული საზღვრისგან. „ახლა სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში იქნება ახალგორის რაიონი, აგრეთვე დიდი და პატარა ლიახვის სოფლები", – აცნობეს „კომერსანტს" სამხრეთ ოსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში. აგვისტოს ომამდე ამ ტერიტორიას საქართველო აკონტროლებდა. თბილისი აკონტროლებდა აგრეთვე იმ ტერიტორიის ნაწილს, რომელიც გეოგრაფიულად აფხაზეთს ეკუთვნოდა, – კოდორის ხეობის ზემო ნაწილს და გალის რაიონის ქვედა ზონის სოფლების ნაწილს, რომლებიც მდებარეობენ მდინარე ენგურის აფხაზეთის მხარეზე. სამხრეთ ოსეთში ამტყდარი ომის შემდეგ საქართველომ ფაქტობრივად დაკარგა ეს ტერიტორიები.

რუსეთის მიერ ინიცირებულმა საზღვრების გაფორმების პროცესმა გუშინ თბილისის მკაცრი პროტესტი გამოიწვია. იქ მოსკოვის მოქმედება მიიჩნიეს „აგრესიის გაგრძელებად და საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციის დაკანონებად". საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეთაურმა გრიგოლ ვაშაძემ განაცხადა, რომ „საქართველოს ტერიტორიის ანექსიის ცდა გამოიწვევს რუსეთისთვის სავალალო შედეგებს". „ეს გზაა, რომელიც XX საუკუნეში უკვე გაიარეს სხვა ქვეყნებმა, – თქვა მან. – ოკუპაცია, ანექსიის ცდა, შემდეგ – ეთნოფაშიზმი".

ქართველ ექსპერტთა აზრით, საზღვრების გაფორმება გამოწვეულია რუსეთის იმ სურვილით, რომ „დააკანონოს ცხინვალისა და სოხუმის რეჟიმები". „მოსკოვი ცდილობს ყოველნაირად აიძულოს დასავლეთი, რომ ცნონ სოხუმი და ცხინვალი, – განუცხადა „კომერსანტს" საქართველოს სტრატეგიულ და საერთაშორისო კვლევათა ფონდის პრეზიდენტმა ალექსანდრე რონდელმა. – იგი მონაწილეობას ალებინებს მათ საერთაშორისო შეხვედრებში, ზემოქმედებას ახდენს თავის პარტნიორებზე სხვა ქვეყნებში და აიძულებს მათ ცნონ ეს ტერიტორიები, ახლა კი ადგენს საზღვრებს და ხატავს ახალ რუკებს. ეს ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ნორმებს, და საქართველო ამაზე ილაპარაკებს მსოფლიო დონეზე". ბატონ რონდელის თქმით, პრეზიდენტ მედვედევის მიერ მიცემული დავალება საზღვრების დელიმიტაციისა და დემარკაციის შესახებ ისახავს სხვა მიზნებსაც: დააფიქსირონ საქართველოსგან წაგლეჯილი ტერიტორიები. „რუსეთმა ისარგებლა იმით, რომ სსრ კავშირის დაშლის შემდეგ დელიმიტაცია და დემარკაცია არ მომხდარა და ყველგან, სადაც კი შეძლო, რუსეთ-საქართველოს საზღვრები წასწია სამხრეთისკენ, – ამტკიცებს ბატონი რონდელი – ამრიგად, საქართველომ ფაქტობრივად დაკარგა რამდენიმე დასახლებული პუნქტი ზემო ლარსისა და პანკისის რაიონში. და ახლა ამ ტერიტორიებს მიემატა კიდევ ის ტერიტორიებიც, რომლებსაც ამჟამად ცხინვალი და სოხუმი აკონტროლებენ. ამრიგად, რუსეთი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა საბოლოოდ გააფუჭოს ურთიერთობა საქართველოსთან".

ამავე დროს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა გუშინ გაართულა კიდევ ერთმა ფაქტორმა. რუსეთის ფედერაციის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარმა შტაბმა დაადასტურა წინადღით გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 2009 წელს რუსეთი შეუდგება სამხედრო ბაზის შექმნას ოჩამჩირის ნავსადგურში. ჯერ კიდევ შარშან ზაფხულში აფხაზეთის პრეზიდენტი სერგეი ბაღაფში ასახელებდა მხოლოდ ორ ბაზას რუსეთის ჯარებისთვის: კოდორის ხეობაში, სადაც სამხედრო ბაზა უნდა აშენდეს პრაქტიკულად ნულიდან, და გუდაუთაში, სადაც შენარჩუნებულია ყოფილი საბჭოთა სამხედრო ბაზის ინფრასტრუქტურა. თუმცა მერე აფხაზეთის ხელისუფლებმა განაცხადეს, რომ რესპუბლიკის ტერიტორიაზე შესაძლებელია რუსეთის ფედერაციის სამხედრო-საზღვაო ყოფნაც. მიუხედავად ამისა, განცხადება ოჩამჩირეში სამხედრო ბაზის შექმნის შესახებ რამდენადმე მოულოდნელი აღმოჩნდა – აფხაზი სამხედროები ამბობენ, რომ ასეთი ბაზის მშენებლობა გაცილებით უფრო ადვილია სოხუმში, სადაც უკვე არის საზღვაო ნავსადგური. „ოჩამჩირეში ყველაფერი ნულიდან უნდა აშენდეს", – უთხრა „კომერსანტს" წყარომ აფხაზეთის თავდაცვის სამინისტროში.

რუსეთის ფედერაციის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარ შტაბში ადასტურებენ, რომ ოჩამჩირეში სამხედრო-საზღვაო ბაზის მშენებლობას რამდენიმე წელი დასჭირდება. მაგრამ რუსი სამხედროები, ეტყობა, მზად არიან დიდი ფასი გადაიხადონ მისთვის. „ოჩამჩირე სტრატეგიულად დიდმნიშვნელოვანი რაიონია, იგი ფაქტობრივად საქართველოს საზღვარზეა და იქიდან რუსეთის ხომალდები შეძლებენ გააკონტროლონ საქართველოს ტერიტორიული წყლები", – განუმარტა „კომერსანტს" საქართველოს პარლამენტის ერთ-ერთმა დეპუტატმა.

**ოლგა ალენოვა**

**Коммерсантъ**

# განცხადება

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ფოთის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექციაძ აცხადებს ღია აუქციონს სასოფლო სამეურნეო კოოპერატივი „ზანას" ს/ნ 239862172 (მდებარე: სენაკის რაიონი, სოფ. ზანაძ დაყადაღებული ქონების რეალიზაციის მიზნით. სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება სასოფლო სამეურნეო კოოპერატივი „ზანას" შემდეგი დასახელების ქონება:

| № | ნივთების დასახელება და აღწერა (განსაკუთრებული ნიშნები, ცვეთა და სხვა) | ნივთის გამოშვება (ზომა, წონა, მარკები და სხვა) | ოფიციალური საჯარო შეფასება ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | | | ერთეულის ფასი | საბაზრო ღირებულება |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 1 | ტრაქტორი ტ-150 | 1988წ | | 12000 |
| 2 | ტრაქტორი მტზ-80 | 1978წ | | 1000 |
| 3 | ტრაქტორი ტ-16 | 1973წ | | 600 |
| 4 | ავტომანქანა გაზ-51 | 1952წ | | 450 |
| 5 | ავტომანქანა საზ-3507 | 1972წ | | 1300 |
| 6 | ავტომანქანა გაზ-52 | 1976წ | | 2100 |
| 7 | ავტომანქანა გაზ-53 | 1977წ | | 900 |
| 8 | ავტომანქანა საზ-3507 | 1989წ | | 1100 |
| 9 | კანტორის შენობა (მდებარე სენაკის რ-ნი, სოფ. ზანა) | 1695.83 კვ.მ | | 14000 |
| | სულ ჯამი | | | 33450 |

ქონების საერთო ღირებულება: 33450 (ოცდაცამეტიათას ოთხასორმოცდაათიძ ლარი.

ქონების ადგილმდებარეობის ფაქტიური მისამართი: სენაკის რაიონი, სოფ. ზანა.

აუქციონი გაიმართება 2008 წლის 4 მარტს 12 სთ-ზე შემდეგ მისამართზე: ქ. სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №111, ფოთის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციაძ სენაკის ოფისის შენობაში.

აუქციონზე ქონების შეძენის მსურველებმა აუქციონის ჩატარებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე უნდა შეიტანონ შესაძენი ქონების ღირებულების 2% (მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, ცენტრალიზებული ანგარიშის ნომერი 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, სახაზინო კოდი 302003000ძ. მესამე პირებს, რომლებსაც გააჩნიათ რაიმე უფლება აუქციონზე სარეალიზაციოდ გატანილ ქონებაზე, შეუძლიათ, მიმართონ ფოთის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექციაძ აუქციონის ჩატარებამდე. დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ: ქ. ფოთი, 26 მაისის ქ. №7. ტელ.: 8(293ძ2-07-04; 8(293ძ2-07-06.

# საფინანსო დეკლარაცია

**„26" იანვარი 2009წ.**

2008 წლის განმავლობაში პოლიტიკურ გაერთიანება „ერთობა რეალური იდეისათვის" (რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 02.04.2008 წელს, რეგისტრაციის ნომერი №204, გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი №206331067) არ მიუღია სახელმწიფოსაგან რაიმე სახის ფინანსური სახსრები, არ ჰქონია არანაირი შემოსავალი (მათ შორის საწევრო შენატანები, შემოწირულობები, საგამომცემლო და სხვადასხვა ღონისძიებების მოწყობით მიღებული თანხები) და გასავალი (მათ შორის არჩევნებზე, სხვადასხვა ღონისძიებების დაფინანსებაზე, შრომის ანაზღაურებაზე, მივლინებაზე და სხვა გაწეული ხარჯები). პოლიტიკურ გაერთიანებას საკუთრებაში არ გააჩნია რაიმე სახის ქონება (მათ შორის შენობა-ნაგებობები, ავტოსატრანსპორტო საშუალებები, საბანკო დაწესებულებაში რიცხული თანხები).

**თავმჯდომარე: თ. ბუთხუზი**

# დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნა

## პოლიტიკური გაერთიანება „ერთობა რეალური იდეისათვის" 2008 წლის ფინანსურ საქმიანობაზე

**26 იანვარი 2009წ.**

დამოუკიდებელმა აუდიტორმა ლიანა ტაველურაშვილმა (სერთიფიკატი 8№4/231, გაცემული 2006 წლის 18 დეკემბერს საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს კოლეგიის მიერ) მოვახდინე პოლიტიკური გაერთიანება „ერთობა რეალური იდეისათვის" 2008 წლის შემოსავლების და ხარჯების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების აუდიტი.

ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და უტყუარობაზე საქართველოს კანონის „აუდიტორული საქმიანობის შესახებ" (მუხლი 14) თანახმად პასუხისმგებელია ზემოაღნიშნული პოლიტიკური გაერთიანების ხელმძღვანელობა, ხოლო მე ვიღებ მთლიან პასუხისმგებლობას იმ დასკვნაზე, რომელიც ჩემს მიერ არის შედგენილი იმ ფინანსური მონაცემების აუდიტიდან გამომდინარე, რაც წარმოგვიდგინა პოლიტიკურმა გაერთიანებამ „ერთობა რეალური იდეისათვის".

აუდიტი ჩავატარე საქართველოს კანონის „აუდიტორული საქმიანობის შესახებ" მოთხოვნების გათვალისწინებით, რომელიც მოითხოვს აუდიტის დაგეგმვას და შემოწმებას, რაც საშუალებას მომცემდა დავრწმუნებულიყავი, რომ მოცემული ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს არსებით შეცდომებს, თავისუფალია ყოველგვარი უზუსტობისაგან.

ვადასტურებ, რომ საანგარიშგებო პერიოდში პოლიტიკურ გაერთიანებას „ერთობა რეალური იდეისათვის" 2008 წელს შემოსავლები არ მიუღია. ამასთან, ფინანსური ანგარიშგება, რომელიც თან ერთვის აუდიტორულ დასკვნას ყველა ასპექტში უტყუარად და რეალურად ასახავს მათ ფინანსურ მდგომარეობას 2008 წლის 1 იანვრიდან 2009 წლის 1 იანვრამდე.

**დ/აუდიტორი: ლ. ტაველურაშვილი**

◎ მსოფლიო კრიზისი და ჩვენ

# სამშენებლო რეცესია ღრიჭოებიდან იცქირება?!

## მთავრობას კრიზისზე ლაპარაკი ეჩოთირება



**...დიახ, მთავრობას კრიზისზე ლაპარაკი ეჩოთირება. და არა მარტო მთავრობას. მან იმდენად მიგვაჩვია მოჩვენებით კეთილდღეობაში ცხოვრებას, რომ ჩვენ ყველას გასაჭირზე ლაპარაკი უკვე გვეჩოთირება. იმავე მთავრობის გონიერების თუ უგუნურობის წყალობით ჩვენ შეიძლება ომშიც დავმარცხდეთ, ტერიტორიებიც დავკარგოთ, ოჯახში ხმელაპურიც სანატრელი გაგვიხდეს, მაგრამ მაინც წელში გაუტეხელი, მარად მაძღარი და მორალურ-სულიერად ამაღლებული ხალხი ვართ. ამაში, რა თქმა უნდა, წილი ლომისა თავად ქვეყნის მეთაურს მიუძღვის.**

ჰო, პრეზიდენტი გვყავს ასეთი, ჩემო ბატონო, მთელ მსოფლიოში უკლებლივ ყველა სხვა პრეზიდენტისგან გამორჩეულად მაგარი, მარადჟამს დაუჩოქებელი, უკეთურობასთან საბრძოლველად ერთთავად შემართული, გაუღუნავად ამაყი და მისი შემყურე ჩვენ სხვანაირები როგორ ვიქნებით?

ვერა, ვერ ვიქნებით, ვერც ჩვენ, რიგითები და ვერც მის ამალაში მყოფი ჩინოსნები. ამის თაობაზე სრულიად სამართლიანად შენიშნავდა ჩემი კოლეგა და მეგობარი სანდრო ალექსიძე, როცა ჩვენს გაზეთში („საქართველოს რესპუბლიკა“, 22 იანვარი, 2009 წ.ძ წერდა: „მხოლოდ პრეზიდენტი კი არ არის უგზოუკვლოდ ამაყი, ამაყები არიან მისი ხელისუფლების, მთავრობის წევრებიც, ყველა მსხვილფეხა და წვრილფეხა ჩინოვნიკი, ვინც კი ინგლისურად საყველპუროდ გაიტეხა ენა ოკეანის გაღმა-გამოღმა და „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ჩაება საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში პირდაპირ მინისტრად თუ მოადგილედ“.

რა თქმა უნდა, ყველა ამ ამაყი „მსხვილფეხა და წვრილფეხა“ ჩინოვნიკის საამაყო ნაღვაწის წარდგენას მკითხველის წინაშე არ ვაპირებთ (პატარა საგაზეთო წერილს ამის პრეტენზია არცა აქვსძ, მაგრამ მათმა „უგზოუკვლო“ სიამაყემ რომ თავად ქვეყნის მოზარალე კრიზისიც კი „აზარალა“, ამის უთქმელობა კი ნამდვილად არ ივარგებს. კრიზისის ზარალზე რა მოგახსენოთ, ჯერ დაზარალებული კრიზისი არავის უნახავს, მაგრამ მისი ჯეროვნად შეუფასებლობის ნაყოფი კი საქართველოში უკვე ხელთა გვაქვს.

რამ შეუშალა ხელი მთავრობას მოახლოებული კრიზისის შეუფასებლობაში? რამ და ათასგზის ნაცადმა და ნამწვნევმა წინდაუხედაობამ, სიბრიყვეში გადაზრდილმა სიამაყემ და ამპარტავნობამ. საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, სხვა საფინანსო ორგანიზაციები ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ აფრთხილებდნენ ქვეყნებს (დიდსაც და პატარასაცძ, რომ კრიზისი გავლენას იქონიებდა ყველა სახელმწიფოზე. თუმცა საქართველოს ხელისუფლება ამას აინუნშიც არ აგდებდა, იჯდა „სიამაყის ტახტზე“ ფეხმორთხმული და გამომწვევად აცხადებდა: ჩვენს ეკონომიკას აგვისტოს ომმაც ვერაფერი დააკლო და კრიზისი რას მოგვწვდება, მით უფრო, რომ ის საქართველოდან ათასობით კილომეტრით არის დაცილებულიო. ამასთან გულს იმითაც იმაგრებდა, რომ საქართველო ნაკლებად არის ინტეგრირებული მსოფლიო ეკონომიკასთან, ქვეყნიდან თითქმის არაფერი გაგვაქვს და საკრიზისო „ინფექცია“ საიდან შემოგვეჭრებაო. რატომღაც ავიწყდებოდათ, რომ სამაგიეროდ იმპორტული პროდუქციის წილი 80 პროცენტზე მეტია და უცხოური „ეპიდემიის“ გავრცელების შანსიც ამდენივე თუ არა, არც თუ ძალიან მცირეა.

ერთი სიტყვით, საქართველოს ხელისუფლებამ ვერ შეაფასა მსოფლიო კრიზისის საშიშროება, მაგრამ სამაგიეროდ თავად კრიზისმა შეაფასა შეუცდომლად ჩვენი მთავრობის წინდაუხედაობა და ვერ მოუხერხა (ქართულ ტრადიციას მთლად გვერდი ვერ აუქციაძ და სანახევროდ შემოუშვა. რა ვქნაო, უკრაინა და სხვები კრიზისმა ერთიანად ააოხრა და ჩვენში თუ ეკონომიკის განვითარება ოდნავ შეანელა, რა გასაკვირიაო. რეცესიაში კი არ ამოგვაყოფინა თავი, ჩვენი ეკონომიკური აყვავება ერთი ნაბიჯით შეაფერხა, ეგ არის და ეგო.

ასეა თუ ისე, გლობალურმა კრიზისმა, რომელიც შორეულ ამერიკაში იპოთეკური კრიზისით დაიწყო, ჩვენი მარად მოტრაბახე ხელისუფლების თავმოყვარეობა, როგორც იტყვიან, ფეხებზე დაიკიდა, ოკეანე „გადმოცურა“ და უპირველესად ქართულ სამშენებლო ინდუსტრიას მიუკაკუნა. თავიდან ეს მშენებლებმა არ დაიჯერეს, როგორაო, გაუკვირდათ, ჩვენ ხომ ქვეყანაში ყველაზე გამართული და მაღალმომგებიანი ბიზნესი გვაქვსო. მახსოვს, ჩვენი №1 მშენებელი, ქალბატონი მაია რჩეულიშვილი როგორი გულდაჯერებული სიმშვიდით აცხადებდა: იფიქრონ იმათ, ვისაც სეიფები საბანკო სესხებით აქვთ სავსე, თორემ ჩვენ რას დაგვაკლებს კრიზისი, ბანკისა ერთი ცენტიც არა გვმართებსო. სამწუხაროდ, ისეთ გამოცდილ ბიზნესმენსაც კი, როგორიც რჩეულიშვილი გახლავთ, რატომღაც მხედველობიდან გამორჩა, რომ იმ ადამიანთაგან, რომელთაც მისი პროდუქცია უნდა შეესყიდათ, უამრავი უმუშევარი, ვალებწამოკიდებული და მსყიდველუუნარო გახდა. ჰოდა, აშენოს ქალბატონმა მაიამ რამდენიც გაეხარდება, მაგრამ თუ არავინ იყიდა მის მიერ ნაგები სასტუმროები, საცხოვრებელი ბინები და ოფისები, რა მოგებას ნახავს, მაგასაც ვნახავთ(!ძ.

არადა რა ფასები უდევთ, ხომ მოგეხსენებათ. საქართველოში მშენებლობა ის დარგია, სადაც მოგების მარჟა 300-დან 400 პროცენტამდე ადის. რაში ენაღვლებათ, დღემდე მყიდველი ჰყავდათ და მოგების ნიშნულს სულ მაღლა და მაღლა ეწეოდნენ. ეს მარტო მშენებლებს არ ეხებათ, ზემოგება საერთოდ ქართული ბიზნესის ავადმყოფობაა. საზღვარგარეთის ქვეყნებში ბიზნესმენები 15-20-პროცენტიან მოგებასაც სიამოვნებით სჯერდებიან, ჩვენთან კი მაინცდამაინც 200-300-პროცენტიანი მოგება უნდათ. რატომ? რომ შეეკითხოთ, თავადაც ვერ აგიხსნიან, უბრალოდ გენში გვიზის უშრომლად ფულის მოხვეტა, მორჩა და გათავდა.

მთავრობაც რომ ასეთი გვყავს? — არაპროფესიონალი, გაურჯელი და მომხვეჭელი, თანაც დაუმსახურებლად ამაყი და ბაქი-ბუქა. ამიტომაც გაუჭირდა, მაგრამ იძულებული გახდა ბოლოს და ბოლოს ეღიარებინა, რომ მთლიანად ეკონომიკაში, და მათ შორის სამშენებლო სექტორშიც, კრიზისია. ამას უკვე ველარ მალავენ თავად მსხვილი სამშენებლო კომპანიები „არსი“, „აქსისი“, „ცენტრ-პოინტი“ და სხვები, რომლებსაც „საქონელი ჩაუწვათ“.

ამის მიუხედავად, ფასის დაკლება რატომღაც „ესიკვდილებათ“. მეორე პრობლემა ის არის, რომ მათ ახალმშენებლობების დასაწყებად საბრუნავი სახსრები არა აქვთ, ხოლო სახსრები იმიტომ არა აქვთ, რომ წარმოებულ პროდუქტს ვერ ჰყიდიან. დიდი პრობლემაა საბანკო სესხების მიღებაც.

ზემოთ არაერთგზის „შევაქე“ ქვეყნის პრეზიდენტის სიამაყე, რამაც უთვალავჯერ „გვიხსნა“ მარცხისგან. ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც, როცა მშენებლობა აშკარა კრიზისში გაიხლართა (ზოგს ჰგონია, რომ რეცესია მხოლოდ ნაგებობათა ღრიჭოებიდან იცქირებაძ, ბატონმა პრეზიდენტმა ამჯერადაც იპოვა იოლი გამოსავალი: ის, რაც ხდება, დროებითია და მოკლე პერიოდში გამოსწორდებაო. მშენებლობა შეაფერხა სამშენებლო მასალების სიძვირემ, ახლა ისინი (მასალებიძ საგრძნობლად გაიაფდა და სულ მალე მშენებლობა ძველებური ტემპით გაუტევსო, დასძინა მიხეილ სააკაშვილმა, უფრო სწორად, მორიგი ტყუილი დაახეთქა. არა მარტო მშენებელმა, სკოლის მოსწავლემაც იცის, სამშენებლო მასალები იმიტომ გაიაფდა, რომ მშენებლობის მოცულობა შემცირდა და მომხმარებელი შემოაკლდა, ხოლო მშენებლობის ტემპი რატომ შენელდა, ამის თაობაზე უკვე ითქვა. ვიცი, იმის ახსნა იმ პრეზიდენტისთვის, რომელმაც მოკლე დროში ეკონომიკა და დემოკრატია ევერესტს გაუსწორა, საჩოთირო თუ არა, ოდნავ უხერხული მაინც არის, მაგრამ თუკი ამის საბაბს თავადვე იძლევა?

**რა თქმა უნდა, შორსა ვარ იმ აზრისგან, რომ საქართველოს ხელისუფლების უთაურობამ მისცა ბიძგი მსოფლიო გლობალურ კრიზისს, მაგრამ ერთი კი ფაქტია — მან საკუთარ ქვეყანაში ეკონომიკას ისეთი ორმო გაუთხარა, ძნელია ვივარაუდოთ, რომ იქიდან როდესმე ამოვა. ამიტომ ხალხმა ახლა, თუ სურს კრიზისის ბრჭყალებს როგორმე თავი დააღწიოს, ამ ორმოდან ხელისუფლების კი არა, ქვეყნის ამოსაყვანად უნდა იზრუნოს.**

ოთარ ხუციშვილი

◎ კოსმეტიკური ცვლილებები კონსტიტუციაში

# „ჩვენ არ ვიცით, რა მიზანს ემსახურება ხელისუფლების ეს ნაბიჯი, მაგრამ ის რეალურად არაფერს ცვლის!“

***ერთი** თვის წინათ, პარლამენტში პრეზიდენტის ინიციატივით საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი შევიდა, რომელიც მიზნად პარლამენტის უფლებების გაზრდას და პრეზიდენტის უფლებამოსილების შეზღუდვას ისახავს. დღეს კი ამ პროექტის საჯარო განხილვა მიმდინარეობს. განმარტებითი ბარათის მიხედვით „ხელისუფლების დანაწილების პრინციპის გასაძლიერებლად, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლების განშტოებათა ურთიერთობაში კონტროლსა და გაწონასწორებას ითვალისწინებს, აუცილებელია პარლამენტის უფლებამოსილების მნიშვნელოვანი გაძლიერება... ამ ამოცანის განსახორციელებლად მიზანშეწონილია გადაისინჯოს და შეიზღუდოს საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილება დაითხოვოს პარლამენტი“.*

მიუხედავად ამისა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია მიიჩნევს, რომ ეს ცვლილებები ხელისუფლების შტოთა ბალანსს რეალურად არ ცვლის და პარლამენტის უფლებამოსილებათა არათუ „მნიშვნელოვანი“, არამედ მცირედი გაძლიერებაც არ ხდება. ეს მედიისთვის გამართულ ბრიფინგზე გაცხადდა.

ახალგაზრდა იურისტთა აზრით, საქმე მხოლოდ კოსმეტიკურ გადახალისებას ეხება, რადგან საქართველოს კონსტიტუციაში ამ ინიციატივით არ შეიცვლება ისეთი პრობლემური საკითხები, როგორებიცაა: პრეზიდენტის უფლება, პარლამენტის წინააღმდეგობის მიუხედავად დანიშნოს პრემიერ-მინისტრი და სხვა მინისტრები; ახლადარჩეული პარლამენტის მიერ მთავრობის მიმართ უნდობლობის გამოცხადების შემთხვევაში, პრეზიდენტს უფლება აქვს მაინც დატოვოს პრემიერ-მინისტრი და თანხმობა მისცეს მას მინისტრების დანიშვნაზე (მუხლი 73, I პუნქტის ქვეპუნქტიძ; პარლამენტის მიერ მთავრობის მიმართ ნდობის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, პრეზიდენტს რჩება უფლება, სამჯერ ზედიზედ წარადგინოს იგივე შემადგენლობა და უარყოფის შემთხვევაში მაინც დანიშნოს პრემიერ-მინისტრი და მთავრობა, ხოლო პარლამენტი დაითხოვოს (მუხლი 80, მე-5 პუნქტიძ, ახლადარჩეული პარლამენტის შემთხვევაში, თუ პარლამენტი არ დაამტკიცებს ბიუჯეტს, პრეზიდენტს უფლება აქვს სახელმწიფო ბიუჯეტი დაამტკიცოს დეკრეტით და დაითხოვოს პარლამენტი.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში აღნიშნავენ, რომ ამგვარი სისტემის გაუმართაობას ვენეციის კომისიის დასკვნაც ადასტურებს, რომელიც 2004 წელს მიიღეს. შემოთავაზებული ცვლილებები კონკრეტულად ითვალისწინებს შემდეგ საკითხებს: მთავრობის უნდობლობის საკითხის დაყენების უფლება საპარლამენტო უმცირესობას აქვს, თუმცა კვლავ აუცილებელია სრული შემადგენლობის უმრავლესობა: იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი მთავრობას უნდობლობას ვერ გამოუცხადებს, იგივე სუბიექტის მიერ უნდობლობის საკითხის დასმა შემდგომი 6 თვის განმავლობაში დაუშვებელია.

ყველაზე პოზიტიურად ახალგაზრდა იურისტები მიიჩნევენ ცვლილებას, რომლის მიხედვითაც პრეზიდენტს უფლებამოსილების ერთი ვადის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ შეეძლება საკუთარი ინიციატივით პარლამენტის დათხოვნა. მეორედ დათხოვნა კი მხოლოდ რეფერენდუმის ჩატარების შემდეგ გადაწყდება. ცვლილებებში რეფერენდუმის დანიშვნის ვადა განსაზღვრული არ არის, რის გამოც კრიზისი შესაძლებელია დაუსრულებლად გაგრძელდეს.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში აცხადებენ, რომ აღნიშნული საკითხების მოუწესრიგებლად საქართველოს კონსტიტუცია კვლავ დაშორებული იქნება ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან, პარლამენტის როლი დაკნინებული დარჩება და პრეზიდენტი შეუზღუდავი ძალაუფლების მქონე სახელმწიფო ფიგურად წარმოგვიდგება. ჩვენ არ ვიცით, რა მიზანს ემსახურება ხელისუფლების ეს ნაბიჯი, მაგრამ ის რეალურად არაფერს ცვლის!

ანა წიწილაშვილი

### ◎ კალათბურთი

# ორწუთიანი მონაკვეთი – 9:0

**მეორე პერიოდის მესამე წუთი. ანგარიშია 19:19. სწორედ ამ დროს ხდება ის, რაც გადაწყვეტს კიდეც მატჩის ბედს – ფავორიტი ორწუთიან მონაკვეთს 9:0 მოიგებს, მსაჯის საფინალო სასტვენამდე შეინარჩუნებს უპირატესობას – 80:71 და პირველად დაეუფლება საპატიო ჯილდოს.**



კალათბურთელ ვაჟთა ეროვნული თასის VII გათამაშების ფინალურ შეხვედრაზე მოგახსენებთ, რომელიც თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა. ფავორიტად, მიხვდით ალბათ, ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი და წლევანდელი სუპერლიგის ჯერაც დაუმარცხებელი ლიდერი რუსთავის „ენერჯი ინვესტი" ვიგულისხმეთ, რომელსაც ღირსეული მეტოქეობა თასის უკანასკნელი ორი გათამაშების გამარჯვებულმა „ავიამშენმა" მხოლოდ თამაშის დებიუტში გაუწია, ეს კი ზედიზედ მესამე წარმატებისთვის, ბუნებრივია, საკმარისი არ აღმოჩნდა.

**ყველაზე შედეგიანები:** ტუღუში – 17 ქულა („ენერჯი ინვესტი"ძ; ნაცვლიშვილი – 24 ქულა („ავიამშენი"ძ.

აქვე გაუწყებთ, რომ ეროვნული ჩემპიონატი 1 თებერვალს განახლდება.

* * *

**დაიწყო ევროპის საკლუბო თასის გათამაშების II ჯგუფური ეტაპი. გთავაზობთ სასტარტო შეხვედრათა შედეგებს.**

**I ჯგუფი.** დინამო (მოსკოვიძ – პანელინიოსი 91:84, მაროუსი – ხიმკი 71:58.

**3 თებერვალს ითამაშებენ:** ხიმკი – დინამო (მოსკოვიძ, პანელინიოსი – მაროუსი.

**II ჯგუფი.** ტელეკომი – ზადარი 89:82, ბენეტონი – უნიქსი 68:66.

**3 თებერვალს ითამაშებენ:** უნიქსი – ტელეკომი, ზადარი – ბენეტონი.

**III ჯგუფი.** ჰემოფარმი – აზოვმაში 84:74 (დამატებით დროშიძ, ცრვენა ზვეზდა – ვალენსია 73:85.

**3 თებერვალს ითამაშებენ:** აზოვმაში – ცრვენა ზვეზდა, ვალენსია – ჰემოფარმი.

**IV ჯგუფი.** შარლერუა – ლიეტუვას რიტასი 78:74, ბილბაო – ერტლანდი 71:62.

**3 თებერვალს ითამაშებენ:** ერტლანდი – შარლერუა, ლიეტუვას რიტასი – ბილბაო.

### ◎ ხელბურთი



# ფინალის ზღურბლთან

**გაირკვა ხორვატეთში მიმდინარე ხელბურთელ ვაჟთა 21-ე მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალისტთა ვინაობა. ხვალ მეტოქენი ასე დაწყვილდნენ: ხორვატეთი – პოლონეთი, დანია – საფრანგეთი.**

რაც შეეხება ფინალურ ეტაპს, იქ გამართული შეხვედრები ასე დასრულდა.

**I ჯგუფი.** საფრანგეთი – შვედეთი 28:21, ხორვატეთი – უნგრეთი 27:22, სლოვაკეთი – სამხრეთ კორეა23:20, საფრანგეთი – სამხრეთ კორეა 30:21, ხორვატეთი – სლოვაკეთი 31:25, უნგრეთი – შვედეთი 31:30, ხორვატეთი – საფრანგეთი 22:19, შვედეთი სლოვაკეთი 27:26, უნგრეთი – სამხრეთ კორეა 28:27.

**საბოლოო მდგომარეობა:** ხორვატეთი – 10, საფრანგეთი – 8, უნგრეთი – 5, შვედეთი – 4, სლოვაკეთი – 3, სამხრეთ კორეა – 0 ქულა.

**II ჯგუფი.** გერმანია – სერბეთი 35:35, პოლონეთი – დანია 32:28, ნორვეგია – მაკედონია 29:27, პოლონეთი – სერბეთი 35:23, ნორვეგია – გერმანია 25:24, დანია – მაკედონია 32:24, პოლონეთი – ნორვეგია – 31:30, დანია – გერმანია 27:25, სერბეთი – მაკედონია – 32:28.

**საბოლოო მდგომარეობა:** დანია – 8, პოლონეთი – 6, გერმანია, სერბეთი – 5-5, ნორვეგია – 4, მაკედონია – 2 ქულა.

### ◎ ჭადრაკი

# ზენიტზე – მეოთხედ

გუშინ დამთავრდა საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ეროვნული ჩემპიონატი, რომელშიც 12 ქალბატონი წრიული სისტემით ეცილებოდა ერთმანეთს



ჩემპიონობას. იმის მიუხედავად, რომ 10 ტურის შემდეგ 7 ქულით ერთპიროვნულად დიდოსტატი მაია ლომინეიშვილი ლიდერობდა, მაინც ბოლო ტურს უნდა გაერკვია მედლების მფლობელთა ვინაობა.

ლომინეიშვილი უახლოეს მდევარს – ნაზი პაიკიძეს ნახევარი ქულით უსწრებდა. მართალია, იგი ნონო ხურციძესთან დამარცხდა, მაგრამ ოქროს მედლისთვის მანამდე მოგროვებული ქულებიც საკმარისი აღმოჩნდა, რადგან პაიკიძე შავი ფიგურებით სოფიკო ხუხაშვილს დანებდა. ბოლო ტურის დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: მირანდა მიქაძე – სალომე მელია 0:1, მარიამ დანელია – მერი არაბიძე 0,5:0,5, სოფიო გვეტაძე – ნონა გაფრინდაშვილი 1:0, სოფიკო გურამიშვილი – ქეთი წიწილაშვილი 0,5:0,5,.

მაია ლომინეიშვილმა ექსცელიანი შესვენების შემდეგ მეოთხედ მოიპოვა საქართველოს ჩემპიონობა. საგულისხმოა, რომ შარშან მან მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადაზე საქართველოს გუნდთან ერთად გაიმარჯვა, მეოთხე დაფაზე კი „ბრინჯაო" დაიმსახურა. საკლუბო ჩემპიონატებზე ორჯერ პირველი იყო, ორჯერ კი საპრიზო ადგილებზე გავიდა.

ეროვნულ ჩემპიონატზე 6,5:6,5 ქულით მეორე-მექვსე ადგილები (უკეთესი კოეფიციენტების მიხედვითძ, შესაბამისად, ხურციძემ, ხუხაშვილმა, მელიამ, პაიკიძემ და გურამიშვილმა გაინაწილეს. მომდევნო ადგილებზე არიან: გვეტაძე და წაწალაშვილი – 5,5:5,5 ქულა, მიქაძე – 5, გაფრინდაშვილი, დანელია, არაბიძე – 3,5:3,5 ქულა. საგულისხმოა ისიც, რომ გურამიშვილმა და პაიკიძემ დიდოსტატის მეორე ბალი დაიმსახურეს.

### ◎ ჩოგბურთი

# მხოლოდ ორი წრე გაწვლო



**კალიფორნიის ქალაქ ლაგუნა ნაიჯელში ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 25 ათასი დოლარიძ 18 წლის თბილისელი ოქსანა კალაშნიკოვას ძირითად ბადეში მოსახვედრად საკვალიფიკაციო ეტაპი უნდა გაევლო.**

სტარტზე პირველ ნომრად განთესილ კანადელს მარი-ივპელეტიეს სძლია 6:4, 6:1, მომდევნო რაუნდში ხორვატ ტერეზა მარდეზას აჯობა – 7:6, 4:6, 6:3. მესამე წრეში კალაშნიკოვა ამერიკელ ჯენიფერ ელისთან დამარცხდა – 6:4, 3:6, 3:6 და შეჯიბრებას გამოეთიშა.

### ◎ ინტერნეტიდან

## მარშრუტი ნამდვილად სახიფათო იყო

**არა მხოლოდ დაზიანებული იახტების უმრავლესობა, არამედ შკიპერ კენ რიდის საჩვენებელი თითის ნაწილიც კი შეიწირა სამხრეთ ჩინეთის ზღვაში დედამიწის გარშემო იალქნიანი იახტების რბოლის Volvo Ocean Race მონაწილე ფლოტილიიდან, რომელიც ახლა 2500 საზღვაომილიანი მარშრუტით მე-4 ეტაპზე სინგაპურიდან ცინდაოსკენ მიდის.**

სერიოზულად დაუზიანებლად მხოლოდ სამი იახტა გადარჩა, ქარიშხლით აბობოქრებულ ზღვაში სერიოზული დაზიანებების გასწორება ადვილი საქმე როდია.



შვედურმა იახტამ Ericsson-3 გეზი ქარის მიმართულებით იცვალა და ტაივანისკენ გაეშურა. ის მეორე ადგილზე იყო, როდესაც დიდი დაზიანებების გამო რბოლიდან მოიხსნა, კორპუსში წყალი შედიოდა, მაგრამ ეკიპაჟმა ყველაფერი გააკეთა ხომალდის აღსადგენად.

შტორმის დროს სერიოზული ტრავმა მიიღო იახტის Puma შკიპერმა კენ რიდმა. მუშაობისას მან შემთხვევით ხელი სტაცა მახლობელ ბაგირს. ის გატარებული იყო ბლოკში და მეზღვაურის მარცხენა ხელის საჩვენებელი თითიც ჩაიტანა.

## დაძაბულ ბრძოლაში ჩაიარა

**ვეიკ-ან-ზეეში მიმდინარე საჭადრაკო სუპერტურნირზე ერთდღიანი შესვენების შემდეგ ნამდვილად განსხვავებული იყო მე-9 ტური. მან დაძაბულ ბრძოლაში ჩაიარა და ცვლილებებიც შეიტანა მასში. უკრაინელმა კარიაკინმა დაამარცხა ტურნირის ლიდერი მოვსესიანი (სლოვენიაძ და 5,5 ქულით თავად გახდა ლიდერი კუბელ დომონგესთან ერთად. გეტა კამსკი (აშშძ დანებდა არონიანს (სომხეთიძ, კუბელმა კი მასპინძელ სტელვაგენს სძლია. დანარჩენი პარტიები ყაიმით დასრულდა.**



ცხრა ტურის შემდეგ ტურნირზე ასეთი მდგომარეობაა: კარიაკინი, დომინგესი – 5,5-5,5; არონიანი, მოვსესიანი, რაჯაბოვი – 5-5, კარლსენი, სმეტსი, ადამსი, ვან ველი – 4,5-4,5, ვან იუე, ივანჩუკი, კამსკი – 4-4, სტელვაგენი – 3,5, მოროზევიჩი – 3.

## ჩოგბურთელს ფეხბურთელმა აჯობა

**თუმცა მას თავის დროზე ხმაურიანი რომანი ჰქონდა ლეგენდარულ გერმანელ ჩოგბურთელ ბორის ბეკერთან, კინაღამ საქმე ქორწილამდეც კი მივიდა, მაგრამ ჩოგბურთელის ფართოდ გახმაურებული სასიყვარულო თავგადასავლების გამო ყველაფერი ჩაიშალა.**

ახლა გავრცელდა ხმები, რომ 25 წლის ლამაზმანი მოდელი სენდი მეიერ ვოლდენი „ბავარიის" თავდამსხმელის ლუკა ტონის რჩეული გახდა. თუმცა არის ვერსიაც, თითქოს ისინი, უკვე ორი წელია, ხვდებიან ერთმანეთს.



სენდისა და ლუკას რომანი, შეიძლება, დიდხანს არ გამჟღავნებულიყო, მაგრამ ფეხბურთელმა სატრფო გერმანიაში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ რესტორანში წაიყვანა. ხოლო გასულ უქმეებზე პაპარაცები მათ უკვე ავსტრიის მთებში, მსოფლიო თასზე მოთხილამურეთა შეჯიბრებაზე გადააწყდნენ. ფიქრობენ, რომ მათ შორის ყველაფერი კარგადაა!

# პ/გ ხალხის პარტია

მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ს. კანდელაკის ქ. №41. ტელ: (822) 37-01-10.

№03/01/2009
ქ. თბილისი
28 იანვარი, 2009 წელი

## საფინანსო დეკლარაცია

**2008 წლის 31 დეკემბრისათვის**

საიდენტიფიკაციო ნომერი №205221295
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა – პოლიტიკური გაერთიანება;

იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №52 ბ. №3.
დარგი (საქმიანობის სახეძ – პოლიტიკური საქმიანობა;
ზომის ერთეული და სიზუსტის ხარისხი – 1 ლარი;

**პოლიტიკური გაერთიანება „ხალხის პარტია“ ბალანსი**

| 1. აქტივები | წლის დასაწყისი | წლის ბოლო |
|---|---|---|
| მოკლევადიანი აქტივები | – | – |
| ფულადი სახსრები | 2870,16 | 29,66 |
| სულ აქტივები | | |
| ფონდები | – | – |

სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხა – 16834,50

შემოწირულობები:

| | | |
|---|---|---|
| შაბურიშვილი ლენა | – პარტიის წევრი | – 10,00; |
| ფირუაშვილი კახაბერ | – პარტიის წევრი | – 2000,00; |
| მაჩიტიძე თამაზ | – პარტიის წევრი | – 2000,00; |
| ხარშილაძე სულხან | – პარტიის წევრი | – 450,00; |
| მურადაშვილი ასმათ | – პარტიის წევრი | – 600,00; |
| თარხნიშვილი ჯონდი | – პარტიის წევრი | – 5400,00; |
| ხიჯაკაძე რონი | – პარტიის წევრი | – 4300,00. |

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება – კალანდაძე ნანა – 708,00;
**სულ შემოსავალი – 32302,50.**

**2. ხარჯვითი ნაწილი:**
**2008 წლის განმავლობაში ხარჯები:**

| | |
|---|---|
| ხელფასი | – 5493,50 |
| ბინის ქირა | – 20782,50 |
| საბიუჯეტო გადასახადი | – 1373,25; |
| სხვა ხარჯები | – 4135, 39; |
| სულ ხარჯები | – 31784,14; |

**3. ქონება:**
პარტიას 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ერიცხება 3855,00 ლარის ძირითადი საშუალებები. სხვა ქონება პარტიას არ ერიცხება.

პ/გ „ხალხის პარტიის“ თავმჯდომარე
**კობა დავითაშვილი**

**გიორგი ალადაშვილი**
**დამოუკიდებელი აუდიტორი**
საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საბჭოს 2000 წლის 12 მარტის 8 №123 ლიცენზია 2007 წლის 12 მარტის 8 №4/277 სერტიფიკატი

27.01.2009 წ. ქ. თბილისი

## აუდიტორული დასკვნა

**პოლიტიკური გაერთიანება „ხალხის პარტიის“ 2008 წლის საფინანსო-სამეურნეო ანგარიშის შესახებ**

დამოუკიდებელმა აუდიტორმა გიორგი ბიძინას ძე ალადაშვილმა პოლიტიკური გაერთიანება „ხალხის პარტიის“ თავმჯდომარე კობა დავითაშვილთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე მოვახდინე ზემოთ აღნიშნული პარტიის მიერ 2008 წლის განმავლობაში გაწეული ეკონომიკური საქმიანობის შემოწმება.

პოლიტიკური გაერთიანება „ხალხის პარტია“ დაფუძნებულია 2007 წლის 21 ივლისს და რეგისტრირებულია სანოტარო რეესტრში №1-3607, ასევე რეგისტირებულია იუსტიციის სამინისტროს 30.08.2007 წლის №297 ბრძანებით და მასზე გაცემულია სარეგისტრაციო მოწმობა №190. აყვანილია აღრიცხვაზე ვაკე-საბურთალოს საგადასახადო ინსპექციის მიერ, როგორც გადასახადის გადამხდელი 10.09. 2007 წელს. (რეგისტრაციის მოწმობა სერია 081 №0011ძ.

შემოწმება დავიწყე წარმოდგენილი პირველადი საბუღალტრო დოკუმენტების მიხედვით. პარტიის შემოსავლები შედგება საბიუჯეტო დაფინანსებისა და შემოწირულობებისაგან. დოკუმენტებით აღმოჩნდა, რომ პარტიას მიღებული აქვს ცენტრალური საარჩევნო კომისიისაგან საბიუჯეტო თანხები 16835 ლარი, ხოლო შემოწირულობები ფიზიკური პირებისაგან 15468 ლარი. სულ შემოსავალმა შეადგინა 32303 ლარი.

პოლიტიკურ გაერთიანებას 2008 წლის განმავლობაში გაწეული აქვს სხვადასხვა ხარჯები 31784 ლარი. გაუხარჯავი დარჩა 519 ლარი. 2008 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დაუხარჯავი შემოსავლების თანხა შეადგენდა 2849 ლარს, ხოლო 2009 წლის 1 იანვრისათვის ნაშთი შეადგენს 3368 ლარს.

შემოწმებულ იქნა აგრეთვე სალაროსა და ბანკის შემოსავალ-გასავლის ოპერაციები 2008 წლის განმავლობაში. 2009 წლის 1 იანვრისათვის სალაროში ნაშთი არ ირიცხება, ხოლო ბანკის ანგარიშსწორების ანგარიშზე ირიცხება 29 ლარი და 66 თეთრი.

შემოწმებულ იქნა ანგარიშვალდებულ პირებზე საქვეანგარიშოდ გაცემული თანხების მოძრაობა პირველადი საანგარიშსწორებო დოკუმენტების მიხედვით. 2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ანგარიშვალდებულ პირებზე ირიცხება კრედიტორული დავალიანება 577 ლარი.

2008 წლის განმავლობაში მოსამსახურეებზე დარიცხულია ხელფასი 5493 ლარი, ხოლო საშემოსავლო გადასახადი დაკავებულია და გადარიცხულია ბიუჯეტში 1373 ლარი და 25 თეთრი. 2009 წლის 1 იანვრისათვის საგადასახადოსთან დავალიანება არ ირიცხება.

პოლიტიკურ გაერთიანებას 2009 წლის 1 იანვრისთვის ერიცხება 3855 ლარის ძირითადი საშუალებები.

შემოწმებით დადგინდა, რომ პოლიტიკური გაერთიანება „ხალხის პარტიის“ მიერ 2008 წლის საფინანსო-სამეურნეო ანგარიში შედგენილია სწორედ საქართველოში მოქმედი „საბუღალტრო აღრიცხვის შესახებ“ დამტკიცებული დებულების შესაბამისად საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. პოლიტიკურ პარტიას რეკომენდაცია ეძლევა წარადგინოს ანგარიში ზემდგომ ორგანოებში.

დამოუკიდებელი აუდიტორი გ. ალადაშვილი

SIC!

# გველირსება მთაწმინდის პარკი?

## ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის წარმომადგენლის განცხადება

ბოლოდროინდელი მოვლენებიდან გამომდინარე ცნობილი გახდა, რომ დეველოპერული კომპანია „რაკიინი“, რომელსაც არაბთა გაერთიანებული ემირატი უმაგრებს მხარს, მთაწმინდის პარკის ხელახალ გახსნასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობასთან მოლაპარაკებას აწარმოებს.

მთაწმინდის პარკი, ბადრიმ და მისმა მეუღლემ ინა გუდავაძემ აალორძინეს და მასში 25 მილიონ დოლარზე მეტი ინვესტიციაა ჩადებული. პარკის საჯარო გახსნა პირველად 2007 წლის შემოდგომაზე მოხდა. მოგვიანებით, იმ მხარდაჭერის საპასუხოდ, რომელსაც ბადრი პოლიტიკურ ოპოზიციას უწევდა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მმართველი პარტიის მიერ ხელისუფლების ბოროტად გამოყენების საკითხში, მთავრობამ პარკის კონფისკაცია მოახდინა. მას შემდეგ იგი დახურულია და სერიოზულ რეაბილიტაციას საჭიროებს. პარკის კონფისკაცია იურიდიული დასაბუთების გარეშე მოხდა, თუმცა თბილისის ვიცემერმა სცადა დაესაბუთებინა მერიის უკანონო ქმედებანი იჯარის გადაუხდელობისა და პარკის შემდგომი განვითარების შეფერხების საფუძველზე. ეს ბრალდებები საფუძველს მოკლებული იყო და ჩვენ ამის დამამტკიცებელი საბუთი გაგვაჩნია.



ბადრის გარდაცვალებიდან დღემდე, მისმა მეუღლემ და ოჯახმა მრავალჯერ სცადა პარკის დაბრუნება, რაზეც ქალაქის მერმა უგულავამ უარი განაცხადა და დაემუქრა, რომ პარკი მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუბრუნდებოდათ, თუ ბადრის ოჯახი დათანხმდებოდა, ბადრის ქონების საკმაოდ დიდი ნაწილის ჯოზეფ ქეისთვის გადაცემას.

ჯოზეფ ქეი, ბადრის გარდაცვალებიდან საკმაოდ მალე გამოჩნდა და ბადრის ქონებაზე კონტროლის ხელში აღება მოითხოვა. მიუხედავად ბადრის მემკვიდრეების მხრიდან უზარმაზარი წინააღმდეგობისა და დამაჯერებელი მტკიცებულებებისა, რომ ქეის მიერ საკუთარი მოთხოვნის გასამყარებლად წარმოდგენილი დოკუმენტაცია სინამდვილეში ყალბი და ფალსიფიცირებული იყო, ქეიმ მაინც შეძლო სააკაშვილის მმართველი გუნდის მხარდაჭერის მოპოვება, როდესაც მან მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად, ბადრის კუთვნილი ტელეკომპანია „იმედის“ ხელში ჩაგდება დაგეგმა.

„იმედი“ ცნობილი იყო მთავრობის უკანონო ქმედებებისადმი თავისი კრიტიკული დამოკიდებულებით. ქეის კონტროლის ქვეშ მყოფი „იმედი“, 2008 წლის გადამწყვეტი საარჩევნო კამპანიის დროს ჩუმად იყო.

როდესაც თბილისის მერი ბადრის ოჯახზე ზეწოლას ახდენდა იმის გამო, რომ მათ ქეის მოთხოვნები დაეკმაყოფილებინათ, ცხადად მიანიშნა, რომ ჯოზეფ ქეი სააკაშვილის გარემოცვას, მათთვის მნიშვნელოვან დროს დაეხმარა და ამიტომ, მან ამ გუნდის მხარდაჭერა დაიმსახურა.

კომპანია „ლინქსმა“, რომელიც ბადრიმ მთაწმინდის პარკის გასაშენებლად შექმნა, საქართველოს მთავრობის ქმედებების წინააღმდეგ, ქართულ სასამართლოებში უამრავი სარჩელი შეიტანა, მაგრამ ყველა მათგანი კვლავ განხილვის პროცესში რჩებოდა. „ლინქსის“ დირექტორმა გოგი ჯაოშვილმა განცხადება გააკეთა იმის თაობაზე, რომ აღნიშნული სარჩელების უკან გამოტანის მიზნით, მერიის მხრიდან მასზე ზეწოლა ხორციელდებოდა, ხოლო, როდესაც მისგან უარი მიიღეს, აიძულეს გადამდგარიყო.

იხ. 12 გვ.

რეკლამა
კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თანაუგრძნობს კოლეგასა და მეგობარს, ჩვენი გაზეთის თანამშრომელს ზაზა ბილიხოძეს დედის
თამარ რევიშვილის
გარდაცვალების გამო.

ინფორმაცია

## ნაღმზე აფეთქებული მოზარდის მდგომარეობა კვლავ მძიმეა

**გორის რაიონის სოფელ კირბალში აფეთქების შედეგად დაშავებული 14 წლის იოსებ ხარხელი თბილისში, იაშვილის სახელობის ბავშვთა რესპუბლიკურ საავადმყოფოში წუხელ გადმოიყვანეს.**

იოსებ ხარხელის მდგომარეობა კვლავ მძიმეა.

მოზარდი ამ დრომდე რეანიმაციულ განყოფილებაში რჩება. მას მარჯვენა ხელის მტევანი აქვს მოწყვეტილი, უმძიმესი დაზიანებები აღენიშნება მეორე ხელის მტევანზეც, დაზიანებული აქვს შინაგანი ორგანოებიც.

შეგახსენებთ, რომ გორის რაიონის სოფელ კირბალში ჯერჯერობით უცნობ მოწყობილობაზე 14 წლის იოსებ ხარხელი 27 იანვარს აფეთქდა. ბავშვმა ასაფეთქებელი მოწყობილობა სკოლის ეზოში იპოვა.

**ინტერპრესნიუსი**

## განჩინება №2/561

**19 ნოემბერი 2008 წელი**

1. ინდმეწარმე „გოჩა სვიანაძის“ განცხადება გადახდისუუნარობის შესახებ მიღებული იქნეს წარმოებაში.
2. აეკრძალოს ინდმეწარმე „გოჩა სვიანაძეს“ ნებისმიერი გარიგების დადება ან/და დადებული გარიგების შეწყვეტა.
3. შეწყდეს იძულებითი აღსრულება ინდმეწარმე „გოჩა სვიანაძის“ მიმართ.
4. აეკრძალოს გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე განჩინების გამოტანამდე აღებული ვალების უზრუნველყოფა, შეჩერდეს ვალებისა და პროცენტების გადახდა.
5. განჩინებიდან გამოქვეყნებიდან 30 დღის ვადაში მოწვეული იქნას კრედიტორთა კრება.
6. განემარტოთ კრედიტორებს, რომ ისინი უფლებამოსილი არიან განჩინების გამოქვეყნებიდან 30 დღის განმავლობაში წარუდგინონ სასამართლოს თავისი მოთხოვნები ვალის წარმოშობის საფუძვლის მითითებით:
7. განჩინება გამოქვეყნდეს „საქართველოს რესპუბლიკაში“ და სასამართლოს დაფაზე.
8. განჩინებაზე დაიშვება კერძო საჩივარი 5 დღის ვადაში განჩინების მხარეთათვის გადაცემიდან.

**მოსამართლე:**

SIC!

# გველირსება მთაწმინდის პარკი?



(მეთერთმეტე გვერდიდან)

გამოიყენა რა, 2008 წლის მაისში ქართული სასამართლოს მიერ მინიჭებული უფლება ბადრის ქონების განკარგვაზე, ქეიმ მთავრობას საშუალება მისცა, პარკის უკანონო კონფისკაცია განეხორციელებინა. ქეის მიერ დანიშნულმა პიროვნებამ, რომელიც ადრე უგულავას ადმინისტრაციაში მუშაობდა, ამ პოსტზე დანიშვნიდან 24 საათში, სასამართლოდან ყველა სარჩელი გამოითხოვა. ამ გზით მთავრობამ, ქეის დახმარებით, პარკთან დაკავშირებული ყველა დაუკმაყოფილებელი სარჩელი თავიდან მოიცილა.

2008 წლის 10 დეკემბერს, მთაწმინდის პარკისა და „იმედის" დასაბრუნებლად (თუნდაც საკმაოდ დაზიანებულ მდგომარეობაში), ბადრის ოჯახმა საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოში, საქართველოს მთავრობისა და თბილისის მერიის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა. საარბიტრაჟო განხილვა ეფუძნება მთავრობის მიერ მთაწმინდის პარკისა და „იმედის" უკანონო ექსპროპრიაციას და ასევე, მთავრობის მიერ ქეისთან ერთად საიდუმლოდ დაგეგმილი ბადრის ამ და სხვა ქონების ოჯახისთვის ჩამორთმევას.

მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმის განხილვა მხოლოდ საწყის ეტაპზეა, უცხო ქვეყნებისა და საერთაშორისო პრესის ყურადღება მიიპყრო, რომელთაც უკვე აქვთ ეჭვის საფუძველი, რომ სააკაშვილის მთავრობა საქართველოში მედიაზე ზეწოლას ახდენს, რომ მისი პოლიტიკური მანევრები ავტოკრატიულ ხასიათს ატარებენ და რომ მისი მცდელობა, დაფაროს რუსეთთან ახლახანს მომხდარი კონფლიქტის შეცდომები — უსუსურია.



არბიტრაჟი უზრუნველყოფს საერთაშორისო ფორუმს, რომელსაც ქართველი ოფიციალური პირების მუქარა და დაშინება ვერ მისწვდება, ხოლო მთავრობისა და ქეის მიერ მთაწმინდის პარკისა და „იმედის" უკანონოდ ხელში ჩაგდება სრულად გამოაშკარავდება. მასზე აუცილებლად მოხდება რეაგირება და სამართლიანობა აღსდგება.

ოჯახს მთელი გულით სურს, რომ მთაწმინდის პარკი ხელახლა გაიხსნას და მისი განვითარება მომავალშიც გაგრძელდეს. ვიდრე ეს პარკი მათ ხელში იყო, ბადრიმ და მისმა მეუღლემ ის საერთაშორისო სტანდარტების დონეზე გააშენეს და ოჯახი კვლავაც ეძებს გზებს, პარკის შემდგომი განვითარების გასაგრძელებლად. თუმცა, ის საოცარი უსამართლობა, რომელიც სააკაშვილის მთავრობამ და მასთან ერთად კონსპირაციაში მყოფმა ქეიმ, ოჯახისა და ბადრის მემკვიდრეობასთან დაკავშირებით გამოიჩინა, შეუმჩნეველი არ უნდა დარჩეს. აქედან გამომდინარე, ოჯახი სთხოვს ყველას, ვინც სხვადასხვაგვარი ფორმით შეიძლება ითანამშრომლონ ამ მთავრობასთან მთაწმინდის პარკთან დაკავშირებით, სასწრაფოდ შეწყვიტონ მსგავსი მცდელობა, რომელიც ხელს უშლის ოჯახის კანონიერი სარჩელის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას. არც ერთი მხარე არ უნდა გახდეს მთავრობის მიერ პარკის უკანონო ექსპროპრიაციის თანამონაწილე და ამით მხარი დაუჭიროს კანონიერების ამჟამინდელ კარიკატურას.

ოჯახი ერთგულია მთაწმინდის პარკის ხელმეორედ გახსნის იდეისა. პარკი იქნება მსოფლიო სტანდარტების შესაფერისი დონის ატრაქციონი საქართველოს მოქალაქეებისა და ტურისტების გასახარად, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს მთავრობის მხრიდან მუქარის, მოტყუებისა და კონსპირაციის ფონზე, რომელიც ამჟამად შავ ზოლად გასდევს პარკის იმიჯს.

„არა ძალადობას"!

# მკვლელები ისევ დაუსჯელნი არიან

**სანდრო გირგვლიანის ტრაგიკული გარდაცვალებიდან სამი წელი გავიდა. საზოგადოებას ახსოვს ეს გახმაურებული მკვლელობა, რომელსაც დიდი რეზონანსი მოჰყვა როგორც ოპოზიციურ პარტიებში, ისე ჩვეულებრივ მოქალაქეებში. ეს ყველაფერი კი ქვეყანაში სერიოზული პოლიტიკური პროცესების საფუძვლად იქცა.**

მოძრაობა „7 ნოემბრის" ინიციატივით გამართულ აქციას ოპოზიციური პარტიებიც შეუერთდნენ. განსაკუთრებით კი მათი ახალგაზრდული ორგანიზაციები გამოირჩეოდნენ. მათი უმთავრესი ლოზუნგი „არა ძალადობას" იყო.




აქცია გმირთა მოედნიდან მსვლელობით დაიწყო და პარლამენტის წინ გაგრძელდა. ის, რომ აქცია ემოციებითა და მკვეთრი პოლიტიკური განცხადებებით დატვირთული იქნებოდა, „ქალთა პარტიის" ოფისში აქციამდე გამართულმა პრესკონფერენციამაც დაადასტურა. პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარემ თამარ ხიჯაკაძემ განაცხადა: — სანდრო გირგვლიანის, ბუტა რობაქიძის, ზურა ვაზაგაშვილის მკვლელებს სახელმწიფოს მაღალჩინოსნები მფარველობენ და ისევ დაუსჯელნი არიან. არავის და მით უმეტეს ჩვენ, ახალგაზრდებს, არა გვაქვს უფლება მთელი ქვეყნის გასაგონად, ხმამაღლა არ გამოვხატოთ პროტესტი, რათა მსგავსი რამ არასოდეს განმეორდეს. ჩვენ — ყველას ძალადობისგან თავისუფალ ქვეყანაში ცხოვრება გვსურს.

გამოსვლის ბოლოს კი დასძინა: — ყველასთვის მნიშვნელოვანია იცხოვროს ისეთ ქვეყანაში, სადაც ადამიანის კონსტიტუციით გარანტირებული უფლებები უპირველესად კი, სიცოცხლის უფლება დაცული იქნება, უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ვერავინ გაბედოს თანამდებობის ბოროტად გამოყენება და ძალაუფლება ადამიანის სიცოცხლის მოსასპობად. ჩვენ ისეთ სახელმწიფოში ცხოვრება გვინდა, სადაც თითოეულ ჩვენგანს უსაფრთხო არსებობის საშუალება ექნება. ჩვენ, ახალგაზრდა თაობა უარს ვაცხადებთ ძალადობაზე.

**ანა წიწილაშვილი.**

**სურათზე:** აქცია პარლამენტის წინ.

**მურად ალაშვილის** ფოტო.

ანეკდოტები

თვითმფრინავმა საჭირო სიმაღლე აიღო. ხომალდის მეთაური, რომელმაც ავტოპილოტი ჩართო, მაგრამ რადიოხაზის გათიშვა დაავიწყდა, მეორე პილოტს ეუბნება:

— ახლა ყავას დავლევ, მერე კი გავალ და სტიუარდესას გავხედნი.

სალონში ყველაფერი ისმის. სტიუარდესა, რომელიც საჭმელს არიგებს, წითლდება, ლანგარი ხელიდან უვარდება და პილოტთა კაბინისკენ გაქანდება. უკნიდან მოხუცი კაცი მიაძახებს:



— შვილო, ასე ძალიან ნუ ჩქარობ, ჯერ ყავა არ ექნება დალეული.

* * *

გოგო და ბიჭი კუპირებული ვაგონით მგზავრობენ. მოეწონებათ და მოუნდებათ კიდეც ერთმანეთი. გოგო ეუბნება: — მე წავიქცევი, თითქოს გონება დავკარგე, შენ კი ვითომ ექიმი ხარ და ჩემს გრძნობაზე მოყვანას ეცდები".

ასეც მოიქცნენ. ბიჭმა მგზავრებს კუპის დაცლა მოსთხოვა და კარი ჩაკეტა. „მკურნალობის" შემდეგ გოგო ეუბნება.

— გადი ტამბურში და ხალხი დააწყნარე, თორემ ალბათ ნერვიულობენ.

ბიჭი კუპიდან გადის და ამბობს:

— ყველაფერი კარგადაა. გთხოვთ, ნუ იხმაურებთ. მე მას ნემსი გავუკეთე და სძინავს.

— შენ გაიხარე, შვილო, ჩვენი დაწყნარებისთვის, — ეუბნება ერთი მგზავრი, — მაგრამ შარვალი შეიკარი, თორემ „შპრიცი" დაგეკარგება.

* * *

შიშველი სიმართლე შიშველი ქალისგან იმით განსხვავდება, რომ აღგზნებას კი არა, გაღიზიანებას იწვევს.

* * *

ორი პენსიონერი ერთმანეთს ხვდება:

— როგორ ცხოვრობ?

— რესტორნიდან ვერ გამოვდივარ!

— რაო, მემკვიდრეობა მიიღე ანდერძით?

— შვეიცარად ვმუშაობ.

* * *

სოციოლოგიური კვლევის ცენტრის მიერ საქართველოს პარლამენტის წევრებს შორის ჩატარებულმა გამოკითხვამ ნათელყო, რომ საქართველოს მოსახლეობისადმი ხალხის რჩეულთა ნდობის რეიტინგი, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 21 პროცენტით შემცირდა.

— ჩვენ უკეთესი ხალხის ღირსი ვართ, — აცხადებენ დეპუტატები.

კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ჟოჟულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
გამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.